სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თათია რობიტაშვილი

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის სამართლებრივი გამოწვევები საქართველოში (პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ნაწილში)

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე
სამართალმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კახი ყურაშვილი
პროფესორი

გორი
2019

თათია რობიტაშვილი – სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის სამართლებრივი გამოწვევები საქართველოში (პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ნაწილში)

ხელმძღვანელი პროფესორი კახი ყურაშვილი

ნაშრომი ეხება ადამიანის ისეთ უმნიშვნელოვანეს უფლებას, როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვების აკრძალვის ჭრილში, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის პირადი ცხოვრების კერძო სფეროს დაცვას მასში სხვა პირების ჩარევისაგან.

აღნიშნულია, რომ ამ უფლების ზუსტად ამოწურვა შეუძლებელია, იგი ვრცელდება ნებისმიერ პირზე, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე სხვა ნებისმიერ პირზე, რადგან იგი წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანის ძირითად უფლებას.

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული პირადი ცხოვრების კონცეფციაზე, რომელიც მოიცავს პირის პირად სფეროში ჩაურევლობის და მისი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას. განხილულია პერსონალური მონაცემების გას აჯაროვების საკითხები, როგორც ორგანიზაციების, ასევე კერძო პირების მხრიდან.

გაანალიზებულია პირის ცხოვრების საიდუმლოების დაცვა, განსაკურებით პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვების აკრძალვის უფლების ჭრილში. თემაში ასევე მოცემულია როგორ უნდა იქნეს დაცული ბალანსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და გამოხატვის თავისუფლებას, ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის.

დასკვნაში მითითებულია ამ უფლების დაცვის აუცილებლობაზე.

Tatia Robitashvili – Mastership Program in Law

Legal challenges of implementation of the right to a private life in Georgia (in the part of disclosing (publicizing) of video records/ photos which are demonstrating one's private life)

Head of the Research Work: Professor Kakhi Kurahsvili

The work refers to the superior right of human beings such as the right to a private life in the part of forbidding of disclosing (publicizing) of photos/video records which are demonstrating private life which provides protection of the private field of the private life of a human being from intervention of other people.

It is noteworthy, that this right can't be exhausted completely, as it is applied in connection to each person, regardless of his/her citizenship and it represents a superior (general) right of each person.

In this work, attention is focused on the concept of a private life which includes the right of non-interference into private life and non-disclosure of one's personal data. Issues of disclosing of personal data by organizations as well as by private entities are discussed in this work as well. In addition to it, the author analyzed protection of confidentiality of the person's life, especially in the part of the right of banning of disclosure of photos/ video records demonstrating personal life. The thesis describes the way of maintaining of the balance between non-interference into the private life and manifestation right (freedom), as well as non-intervention into private life and freedom of speech.

The conclusion emphasizes a necessity of protection of the stated right.

შინაარსი

შესავალი.....6

თავი I. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ევროპული და ქართული მექანიზმების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი.....8

1.1. ზოგადი მიმოხილვა.....8

1.2. საერთაშირუსო სამართლებრივი აქტები.....10

1.3. ევროპული სამართლებრივი აქტები.....11

1.4. ეროვნული სამართლებრივი აქტები.....14

თავი II. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვა, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.....18

2.1. შუალედური დასკვნა.....24

თავი III. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის მექანიზმები საქართველოში.....24

3.1. ზოგადი მიმოხილვა.....24

3.2. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის მექანიზმები ქართულ კანონმდებლობაში.....25

ა. საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ.....25

ბ. საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ და საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.....26

გ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.....31

3.3. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროების აკრძავლასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემები.....34

3.4. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ფაქტების სტატისტიკა საქართველოში.....43

3.5. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ფაქტების აღმოფხვრისთვის გატარებული ღონისძიებები (პრაქტიკა).....44

3.6. პასუხისმგებლობა პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვებისათვის.....50

3.7. დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები და პირადი ცხოვრების ამსასველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის დაცვისთვის გასატარებელი ღონისძიებები.....53

თავი IV. ბალანსის დაცვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ადამიანის სხვა ძირითად უფლებებს შორის.....59

4.1. ბალანსის დაცვა გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის.....59

4.2. ბალანსის დაცვა ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის.....67

დასკვნა - ძირითადი მიგნებები.....73

გამოყენებული ლიტერატურა.....80

შესავალი

წინამდებარე თემის კვლევის საგანს წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის სამართლებრივი გამოწვევები საქართველოში (პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ნაწილში). ნაშრომში განხილულია ის ევროპული და ქართული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვებისგან თავდაცვის მექანიზებს. მოცემულია აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების შედარებითი ანაზლიზი. ნაშრომში განხილულია აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების ეფექტურობა, ასევე საუბარია კანონმდებლობაში გასათვალისწინებელ ცვლილებებზე. აღნიშნულ ნაშრომში ასევე განხილულია როგორ უნდა მოხდეს ბალანსის დაცვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ადამიანის იმ ძირითად უფლებებს შორის, რომელთა გადაკვეთაც ხშირად ხდება აღნიშნული უფლების დაცვის მექანიზის გამოყენების დროს . კონკრეტულად კი განხილულია როგორ უნდა მოხდეს ბალანსის დაცვა გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ასევე ნფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის. განხილულია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნა სადაც განხილულია კვლევის შედეგად აღმოჩენილი ძირითადი მიგნებები.

აღნიშნული თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ბოლო წლების განმავლობაში არაერთი გახმაურებული ფაქტი დაფიქსირდა საქართველოში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებით. აქტიურად ხდება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების უკანონო გამოყენება პოლიტიკური თუ სხვა სახის მორალური შანტაჟის მიზნით.

თემის მიზანს წარმოადგენს:

1. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ცნობიერების ამაღლების მიზნით.
2. პირადი ცხოვრების მნიშვნელობის ახსნა და იმის ხაზგასმა რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების უკანონო გასაჯაროვება წარმოადგენს პირად ცხოვრებაში შეჭრას და აღნიშნული უფლებით სარგებლობის შეზღუდვას.

3. აღნიშნულ საკითხთან დაკავიშრებით სხვადასხვა სახის, ძირითადად კი სამართლებრივი პრობლემების გამოკვეთა.

4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის (პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების უკანონო გასაჯაროვების ჭრილში) დაცვისას წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის დროს ბალანსის შენარჩუნება გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს და ინფორმაციის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს შორის.

წინამდებარე ნაშრომს თან ერთვის:

1. სარჩევი;
2. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა;
3. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
4. ბიბლიოგრაფია.
5. ის დოკუმენტაცია რაც ჩემს მიერ იქნა მოკვლეული თემაზე მუშაობის პერიოდში. (წერილები, ინტერვიუს ოქმი).

ნაშრომი შედგება შესავალისა და 4 თავისაგან, აქედან 2 თავი შედგება ქვეთავებისაგან, მესამე თავი 7 ქვეთავის, ხოლო მეოთხე თავი ორი ქვეთავისაგან.

პირველ თავში განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ევროპული და ქართული მექანიზმების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი; მეორე თავში საუბარია პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვაზე, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ჭრილში; მესამე თავში განხილულია პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის მექანიზმები საქართველოში, სადაც საუბარია არა მხოლოდ მექანიზმებზე არამედ ზოგადად პრაქტიკაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილ პრობლემატიკაზე, მათი გადაჭრისთვის განხორციელებულ ქმედებებზე, პასუხისმგებლობაზე და დარღვეული უფლების აღდგენის საფუძვლებზე. მეოთხე თავი ეხება ორ პრობლემატურ საკითხს, ესენია ბალანსის შენარჩუნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის და მეორე ბალანსის

შენარჩუნება ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის. ნაშრომში კვლევის სახით გამოყენებულია სამეცნიერო ნაშრომები, სხვადასხვა სახის სამეცნიერო და ინფორმაციული სტატიები და ჩემს მიერ ინტერვიუს სახით მოპოვებული ინფორმაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან და არასამთავრობო ორგანიზაციიდან.

თავი I. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ევროპული და ქართული მექანიზმების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი

1.1. ზოგდი მიმოხილვა

"ადამიანის უფლება არის ადამიანისაგან განუყოფელი თვისება, რომლის გარეშე ადამიანს არსებობა არ შეუძლია, მისი მეოხებით ადამიანი ავლენს თავის არსს, ახდენს ინტელექტურლური, მატერიალური და სულიერი შესაძლებლობების რეალიზებას, იცავს თავის სიცოცხლეს და პიროვნებას" [1] ის, რომ ინდივიდს თავისი პიროვნებისა და საკუთრების დაცვის სრული უფლება აქვს, უძველესი პრინციპია. ეს პირნციპი დროთა განმავლობაში მუდმივად განახლდებოდა და ხდებოდა მისი ხელახალი ინტერპრეტირება. პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები ახალი უფლებების აღიარებას იწვევს და საერთო სამართალიც მუდმივად ახალგაზრდავდება, რათა მან საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს უპასუხოს. ძველად პირი კანონით იყო დაცული სხვა პირების ფიზიკური ჩარევებისაგან. თავისუფლება ნიშნავდა უშუალო, ფიზიკური შეზღუდვისაგან თავისუფლებას. მოგვიანებით სამართალში შემოვიდა პირის სულიერი მხარის, მისი გრძნობებისა და ინტელექტის ცნებები. თანდათანობით ამ უფლებების მასშტაბები გაიზარდა და დღეისათვის სიცოცხლის უფლება გულისხმობს _ სიცოცხლის კარგად გატარების უფლებას, მარტო დარჩენის უფლებას; საკუთრების უფლება კი ვრცელდება როგორც მატერიალურ ასევე არამატერიალურ ფასეულობებზე. ამრიგად, იქიდან გამომდინარე, რომ სამართლებრივი დაცვა პირის გრძნობებსაც შეეხო, პირისათვის ფიზიკური ზიანის მიყენების გარდა, აიკრძალა ასეთი ზიანის მუქარაც, რათა პირი დაცულ იქნეს ისეთი განსაცდელებისაგან, რომლებიც ასეთ მუქარას ან მოლოდინს ახლავს თან. თანდათანობით პირის

[1] იხ. ბიძინა სავანელი ადამიანის უფლებები თბილისი 2001წ. გვ.9

იმუნიტეტი მისი ფიზიკური იმუნიტეტიდან პირის ემოციებზეც გავრცელდა. დაცულ იქნა პირის რეპუტაციაც საიდანაც განვითარდა კანონმდებლობა ცილისწამებისა და შეურაცხყოფის შესახებ. კანონის დაცვის ქვეშ მოექცა ისეთი არამატერიალური ფასეულობები, როგორიცაა პირის ინტელექტუალური საკუთრებია, კომერციული საიდუმლო, სავაჭრო ნიშნები და სხვა.[2]

უამრავი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა არსებობს რომლებიც იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს, მათ შორის არის ის საერთაშორისო კონვენციები პაქტები, ხელშეკრულებები, ოქმები და დეკლარაციები რომელთა ხელმომწერია საქართველო, შესაბამისად აღნიშნული კანონმდებლობა ვრცელდება ჩვენზეც და ჩვენი ქვეყანა ვალდებულია შიდასამართლებრივი ნორმები შეუსაბამოს აღნიშნულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ინდივიდის უფლება, ჰქონდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობა არალეგიტიმური კონტროლის გარეშე. ამასთან, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა სახელმწიფოს არამხოლოდ უკრძალავს პირის კერძო სფეროში თვითნებურად ჩარევას, არამედ ასევე ავალდებულებს მას, უზრუნველყოს აღნიშნული უფლებით ეფექტიანი სარგებლობა.[3] ქართულ კანონმდებლობაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება პირველ რიგში განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, ხოლო მისი დაცვის გარანტიები მოცემულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, „პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომლის პრაქტიკა ამ სფეროში ძალზე მდიდარია, არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ უფლების სრული განმარტების შეუძლებლობაზე. "სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს "პირადი ცხოვრების" კონცეფცია"[4] კონკრეტული კონცეფცია არის გაცილებით ფართო მცნება,

---

[2] იხ. მაიკო ოქრუაშვილი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.თავისუფლების ინსტიტუტი 2008წ გვ 12

[3] იხ. სახალხო დამცველის ანგარიში 2016წ. გვ405

[4] იხ. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი) კვლევა მომზადებულია ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების ხელშეწყობა

ვიდრე თავისუფლების უფლება, თუმცა მოიცავს სფეროს, რომელის მიხედვითაც გვენიჭება თავისუფალი განვითარება. 1992 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება არ შეეზღუდა და არ მოექცია პირადი ცხოვრება რაიმე კონკრეტულ ჩარჩოებში, ვინაიდან ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს თავისი სურვილისამებრ და ის ფაქტი რომ ერთი ადამიანის ცხოვრება არ არის მოსაწონი მეორე ადამიანისათვის, ვერ იქნება კანონდარღვევა. პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება აგრეთვე მოიცავს გარკვეულ დონეზე ურთიერთობის დამყარების და განმვითარების შესახებ უფლებას. [5]

1.2. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

ადამიანის უფლებათა უმთავრეს წყაროს წარმოადგენს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" რომელიც მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს და სადაც ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან ერთად დეკლარაციის მე-12 მუხლში ვხვდებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას რომელიც შემდეგი სიტყვებითაა დეკლარაციაში მოცემული „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მის საცხოვრებელსა დაა მიმოწერაში თვითნებურ ჩარებას, ისევე როგორც მისი პატივისცემისა და რეპუტაციის ხელყოფას. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან." [6]

აღნიშნული სფეროს მარეგულირებელია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, რომელიც შეიცავს ე.წ. „პირველი თაობის" ადამიანის უფლებებს. აღნიშნული პაქტი ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის თანახმად „. არავინ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად ცხოვრების ხელშეუხებლობაში, ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელსა და მიმოწერაში... 2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს

საქართველოში" ფარგლებში 2014წ გვ გვ.3 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://gdi.ge/uploads/other/0/189.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[5] იხ. Ursula kilkelly The right to respect for private and family life (A gude to implementation of article 8 of europian convention on human rights. გვ. 11 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://rm.coe.int/168007ff47 ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[6] იხ.ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლრაცია მუხლი 12

კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.“[7] ასევე ბავშვთა უფლებათა კონვენცია, რომელიც გაერთიანებული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს იქნა მიღებული და ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბრიდან შევე შეიცავს ნორმას ბავშვთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, კერძოდ, კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად „1. ბავშვი არ შეიძლება დექვემდებაროს თვითნებურ ან უკანონო ჩარევას მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში, ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელსა და მიმოწერაში... 2. ბავშვს უფლება აქვს კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.“[8]

1.3. ევროპული სამართლებრივი აქტები

როდესაც ვსაუბრობთ ადამიანის ძირითად უფლებებზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება რომელზე ხელმომწერ ქვეყნებში შედის საქართველო არის „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ იმ მუხლთაგანს, რომელიც დროში არ არის შეზღუდული. აღნიშნული მუხლის თანახმად: „1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. 2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“[9] პირველივე შეხედვით ცხადყოფილია, რომ მე-8 მუხლი გაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოცემულია ზუსტი უფლებები რაც

---

[7] იხ. პირადი და ოჯახური პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი 2005წ. გვ16,17 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://gdi.ge/uploads/other/0/189.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[8] იხ. პირადი და ოჯახური პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი 2005წ. გვ17, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/article8.pdf ბოლო განახლება 27062019წ

[9] იხ.პირადი და ოჯახური პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი 2005წ. გვ21ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://gdi.ge/uploads/other/0/189.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

ადამიანს ენიჭება სახელმწიფოსგან, როგორიცაა კანონი პირადი ცხოვრების პატივისცემის, ოჯახური ცხოვრების, სახლის და პირადი მიმოწერის შესახებ. მე-8 მუხლის მეორე ნაწილში კი განმარტებულია, რომ ხელისუფლებას, გარკვეულ სიტუაციებში ენიჭება უფლება ჩაერიოს იმ თემებში რომელიც განხილულია მე-8 მუხლის პირველ ნაწილში. ეს ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.[10] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, კონვენციის მე-8 მუხლის არეალი განსაზღვრა საკმაოდ ვრცლად, საუბარია იმ უფლებებზეც კი, რომლებზეც საუბარი უშულოდ მუხლში არ არის. მიუხედავად ამისა, მოცემული მუხლის არეალი შეუზღუდავი მაინც არ არის.[11] ძირითადი მიმიზანი მე-8 მუხლის იმაში მდგომარეობს, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრება დაიცვას უნებლიე, შემთხვევითი ჩარევებისგან. ეს მოთხოვნები არის კლასიკური დებულებები, რომლებიც განმარტებულია სასამართოლოს მიერ, როგორც ძირითადი არსი მე-8 მუხლისა. წევრ ქვეყნებს აქვთ აგრეთვე პოზიტიური მოთხოვნები, რომ განამტკიცონ მე-8 მუხლი. ამისთვის მათ უნდა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება პასუხისმგებლობის საკითხი თავად სახელმწიფოსი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. მოცემული მუხლის მიხედვით სახელმწიფოს აქვს პოზიტიური და ნეგატიური მოვალეობები, რის მიხედვითაც შესაძლებელია ჩართული იქნას ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეში. მთავარი მიზანი სახელმწიფოსი არის, დაამყაროს სამართლიანი ბალანსი მოდავე პირსა და საზოგადოებას შორის. იმ შემთხვევებში, თუ სახელმწიფოს უწევს ნეგატიური ჩარევა, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს რამდენად მართებული იყო სახელწიფოს ჩარევა და რამდენად შეესაბამებოდა მე-8 მუხლის მეორე პუნქტს.[12] პოზიტიური ვალდებულებების

---

[10] იხ. Ursula kilkelly , A gude to implementation of article 8 of europian convention on human rights. გვ. 6 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://rm.coe.int/168007ff47 ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[11] იხ. Europian court of human rights Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights Right to respect for private and family life, home and correspondence- Updated on 31 December 2018. გვ 7,8 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ

[12] იხ. Europian court of human rights Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights Right to respect for private and family life, home and correspondence- Updated on 31 December 2018. გვ 8ხელმისაწვდომია

შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს რამდენად მნიშვნელოვანია რისკის ქვეშ მყოფი პირის ინტერესი. ამ დებულებების მთავარი არსი მოიცავს, რომ გათვალისწინებული იქნას რისკის ფაქტორის ქვეშ მყოფი პირის უფლებები, არიქნას დარღვეული მისი ფუნდამენტური უფლება პირადი ცხოვრების თავისუფლების შესახებ და რომ ის შესაბამისობაშია სოციალურ რეალობასა და კანონს შორის. დანარჩენი ფაქტორები კი უკვე უკავშირდება სავარაუდო პოზიტიურ ვალდებულებებს სახელმწიფოს მხრიდან. ამ შემთხვევაში კი კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად კონკრეტული ან ზოგადია მოცემული სავარაუდო ვალდებულებები. პოზიტიური ვალდებულებების გატარებისას, სახელმწიფოს აქვს უფლება გარკვეული შუამავლის როლი შეასრულოს. გარკვეული ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული როდესაც სახელმწიფოს ეს კონკრეტული ფუნქცია ენიჭება. როდესაც ეჭვ ქვეშ დგას ადამიანის არსებობა ან იდენტურობა, მაშინ საქმე განხილული იქნება ევროსაბჭოს მიერ. თუმცა, სადაც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები ერთპიროვნულად ვერ თანხმდებიან და საქმე ეხება მორალურ და ეთიკურ შინაარსს, მაშინ აღნიშნული საკითხი ხდება უფრო ფართო განხილვის საგანი. ფართო განხილვა იქნება საჭირო აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს აქვს ვალდებულება დაამყაროს ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.[13]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშნელოვან მრავალმხრივ საერთაშორისო დოკუმენტად მიიჩნევა „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროსაბჭოს 108-ე კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი, რომელიც ღიაა ხელმოსაწერად არამხოლოდ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. 108-ე კონვენცია არის პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც იცავს ფიზიკურ პირებს მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში და მიზნად ისახავს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას.“ პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური დაცვის შესახებ“ კონვენციის დამატებით ოქმი ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებსა და მონაცემთა

შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ

[13] იხ.Europian court of human rights Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights Right to respect for private and family life, home and correspondence- Updated on 31 December 2018. გვ 8

ტრანსსასაზღვრო გადაცემას.[14] პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მხრივ, ის პრინციპები, რომლებიც მოცემულია კონვენციაში, ეხება მონაცემთა სამართლიან და კანონიერ შეგროვებასა და ავტომატურ დამუშავებას. პრინციპები ასევე ეხება მონაცემთა ხარისხს, კერძოდ კი იმას, რომ მონაცემები უნდა იყოს ადეკვატური, შესაბამისი, ზუსტი და არ უნდა იყოს ჭარბი(პროპორციულობა)[15] აღნიშნულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 2001 წლის 21 ნოემბერს,ხოლო რატიფიცირება მოხდა 2005 წლის 14 დეკემბერს[16] ადამიანის უფლებათა სამართლის წყაროებს წარმოადგენენ ასევე სხვადასხვა საერთაშორისო კოდექსები და პრინციპები, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო ორგანოების, მაგალითად გაეროს გენერალური ასამბლეის ან ევროპის საბჭოს მიერ.[17]

1.4.ეროვნული სამართლებრივი აქტები

ადამიანის უფლებათა სამართლის წყაროდ კონსტიტუციასთან ერთად განიხილება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დარგების ინსტიტუტები და ნორმები , რადგანაც მის გარეშე ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იქნება დაცული და რეალიზებული სრულყოფილად ადამიანის უფლებები. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ტენდენციაა ერთმანეთს დაუახლოვდეს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის დარგობრივი ნორმები.[18]

ეროვნული კანონმდებლობიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პიროვნების განვითარების, მისი ღრსების დაცვის, მოქალაქის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლებებს, ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან

---

[14] იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები თბილისი 2016წ რედ კონსტანტინე კორკელია ავტორები თამარ ქალდანი ნინო სარიშვილი გვ 147,148

[15] იხ. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი. თარგმანის ავტორი კახაბრე გოშაძე, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი 2015წ. გვ18,21

[16]იხ.ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/COE/COE-Conventions.aspx, ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[17] იხ. ადამიანის უფლებათა სამართალი 2005წ. გივი ლობჟანიძე გვ 26

[18] იხ. გივი ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი 2005წ. გვ 26

დაკავშირებული ინფორმაცია. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის კონსტიტუციურ გარანტიასა და საფუძველს.[19]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მოცემულია კონსტიტუციის მე-15 მუხლში რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმულირებით: „ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც...”[20] როგორც ჩანს კონსტიტუციის მეთხუთმეტე მუხლით დაცული სიკეთეებია ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება, პირადი სივრცე და კომუნიკაცია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ არის აბსულუტური უფლება, კონსტუციის ამავე მუხლში გაკეთებულია დათქმები რა შემთხვევაშია დასაშვები აღნიშნული უფლებების შეზღუდვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განაცხადა: ,,ნებისმიერი კონსტიტუციური უფლების შინაარსის განსაზღვრისას, არსებითი მნიშვნელობა აქვს უფლებაში ჩარევის ფორმასა და ფარგლებს. ყველა უფლებაში ჩარევა ვერ იქნება ერთნაირი. ბუნებრივია, ცალკეულ უფლებებში ჩარევის განსხვავებული ფარგლები არ მიუთითებს ამა თუ იმ უფლების უფრო მეტ მნიშვნელობაზე სხვებთან შედარებით. უფლებაში ჩარევის განსხვავებული ფორმა, შინაარსი თუ ინტენსივობა მიუთითებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ

[19] იხ.სტატიის ავტორები თამარ ქალდანი, ნინო სარიშვილი, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, თბილისი 2016, გვ გვ.151

[20] იხ. საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 15

საჯარო ინტერესზე, რომლის მისაღწევადაც აუცილებელია უფლებაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევა.“ [21]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისთვის აუცილებელია დაცული იყოს პერსონალური მონაცემები, აღნიშნული სფეროს დაცვის ეროვნული გარანტი პირველ რიგში ისევ კონსტიტუციაა, რომლის მე-18 მუხლის დაცულ სიკეთედ გვევლინება ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსეთან ან სხვა პირად საკითხებთან.[22]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისთვის მნიშნელოვანია აღვნიშნოთ კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ , რომელიც 2011 წლის 28 დეკემბერს მიიღო პარლამენტმა, აღნიშნული კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური ან ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, აგრეთვე არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება.როგორც მოცემული კანონის ტექსტიდან ჩანს, კანონი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის მიერ. ტერმინი „დამუშავება“ გულისხმობს პერსონალურ მონაცემებზე შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, რაც ასევე მოიცავს მონაცემთა გამჟღავნების - მისი გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზას. უფრო დეტალურად რომ განიმარტოს, „მონაცემთა დამუშავების“ განმარტებას იძლევა, „შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიო- ან ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის,

[21] იხ. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი) კვლევა მომზადებულია ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში 2014წ გვ.8 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://gdi.ge/uploads/other/0/189.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[22] იხ. საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 18.

გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება“. [23]

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, რომელიც მიღებულია 2018 წლის 21 ივლისს, ასევე არის აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი, კერძოდ, „ეს კანონი წლის განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სტატუსს, მისი საქმიანობის პრინციპებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილებებს, სახელმწიფო ინსპექტორის არჩევისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესებს, აგრეთვე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილებათა განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.“[24]

ქართულ კანონმდებლობაში გვაქვს კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ სადაც არის ცალკე, მეხუთე თავად გამოყოფილი პირადი ცხოვრების კონფიდენციალობა და ხელშეუხებლობა.[25]

პერსონალური მონაცემები ასევე დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლში: „საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად. თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა.“

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები მოცემულია საქართველო სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის 157-159 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გაარანტიაა, კერძოთ ამ მუხლებში საუბარია პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის, ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა ბინის ან სხვა

[23] იხ. ლევან ჯგერენაია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები თბილისი 2012 წ. გვ.10, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://library.court.ge/upload/2962013-03-29.pdf , ბოლო განახლება 28/06/2019წ.

[24] იხ. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“

[25] იხ. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“

მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა. აღნიშნულ მუხლებში დეტალურად არის გაწერილი საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლების, კერძოდ კი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებული სასჯელები.[26] ამასთან, ფარული ვიდეოკამერის ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლით დამონტაჟების ერთადერთ მიზანს ყოველთვის წარმოადგენს ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც გამოიწვევს დაზარალებულის ღირსების შელახვას, მის მორალურ დამცირებას. სექსუალური ურთიერთობის ფარული ჩაწერა კი სწორედ პირადი ღირსების შეურაცხყოფას წარმოადგენს[27] ადამიანის ღირსება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით დაცული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა: „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო“. ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ასპექტში მნიშვნელოვანია რომ დაცული იქნეს პიროვენების ღირსება და რეპუტაცია საქმეზე რადიო საფრანგეთი საფრანგეთის წინააღმდეგ(Radio France v. France) სასამართლომ პირდაპირ განაცხადა, რომ რეპუტაციის დაცვა არის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლება და წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი ელემენტს.[28]

თავი II. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვა, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

ადამიანის უფლებები არსებობს, როგორც ზნეობრივი ანდა სამართლებრივი უფლებები. ადამიანის უფლება შეიძლება მოიცავდეს როგორც აქტუალურ ადამიანურ ზნეობრივ პრინციპებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს სამართლებრივი უფლებები ეროვნულ დონეზე, ისე სამართლებრივ უფლებას საერთაშორისო სამართლის სისტემაში. საერთაშორისო სამართალი გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის

[26] იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები: 157-159

[27] იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საქართველოს სახელით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ საქმე №560ა318 , თ.დ. 560ა-318, ქ.თბილისი 25.03.2019

[28] იხ.FREEDOM OF EXPRESSION AND THE RIGHT TO REPUTATION: HUMAN RIGHTS IN CONFLICT* STIJN SMET**გვ 192-193. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://digitalcommons.wcl.american.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1700&context=auilr ბოლო განახლება 28/06/2019წ.

უფლებებისათვის გლობალური ხელმისაწვდომობის მინიჭების საკითხში. ადამიანის უფლებები საერთაშორისო ნორმებია, რომლებიც მოიცავენ ყველა სახელმწიფოს და დღეს მცხოვრებ ყველა ადამიანს. სხვა ძირითად უფლებებთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც თავის თავში მოიცავს პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის უფლებას.[29]

ვინაიდან პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები/კადრები შეიცავცს პერსონალურ მონაცემებს, იგი აუცილებლად შედის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობით დაცულ სფეროში და შესაბამისად მასზე ვრცელდება ამ ნაშრომის პირველ თავში მოცემული სამართლებრივი ნორმები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით: „პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია [30] ადამიანების თავისუფალი განვითარების პერსპექტივა ძალიან მყიფე ხდება პერსონალური ავტონომიურობის საეჭვოობის პირობებში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეალური, ფაქტობრივი ხელშეუხებლობა ადამიანის პირადი სივრცისა, არამედ ასეთი ხელშეუხებლობის მყარი შეგრძნება, განცდა, აღქმადობა ადამიანის მხრიდან. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებებიც და სამართალიც იმდენად დამაჯერებელი უნდა იყოს ადამიანებისთვის, რომ ისინი მუდმივი ეჭვით არ ცხოვრობდნენ, არის კი მათი პირადული სივრცე რეალურად დაცული, ხელშეუხებელი. „ [31]

პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების გზით ირღვევა კონსტიტუციაში მოცემული ჩანაწერი რომლის თანახმად ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ასევე ირღვევა ადამიანის უფლებების ევროპული

---

[29] იხ.ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.3&d=HASHfb846b36a6403d837daa38.1 ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[30] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, თბილისი 2016, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, სტატიის ავტორები თამარ ქალდანი, ნინო სარიშვილი გვ151

[31] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება გვ28,29

კონვენციის მერვე მუხლი რომლის თანახმადაც ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. ვინაიდან პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებში (ზოგიერთ შემთხვევაში) ჩანს გამოსახულება, შესაბამისად მისი უნებართვო გასაჯაროვების შემთხვევაშ ირღვევა უფლება გამოსახულებაზე. რეგულაციები პირადი სფეროს დასაცავად ყოველთვის არსებობდა, მაგალითად საცხოვრებელი ბინის ხელშეუვალობა, აღსარების საიდუმლო და ფოსტის საიდუმლო. მონაცემთა უფრო მრავლისმომცველი დაცვის შესახებ ფიქრი გამოიწვია კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებამ და იმ საშიშროებამ, რომელიც ადამიანის პირად სფეროს შეიძლება მის გამო შეექმნას. საკანონმდებლო რეგულაციების იმპულსი წამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიაში პირველად 1970 წელს ჰესენის მიწამ შემოიტანა მონაცემთა დაცვა დღის წესრიგში.[32]

პირადი ცხოვრების ცნების ზუსტად ჩამოყალიბებული განსაზღვრება, როგორც ეს პერსონალური მონაცემების დეფინიციის შემთხვევაშია, არ არსებობს. ისტორიულად პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილებოდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ფორმატში, რადგან შინაარსობრივად ყველაზე ახლოს სწორედ ამ უფლებასთან იდგა და თავად უფლების მკაცრად განსაზღვრული სამოქმედო სფეროს არარსებობაც იძლეოდა ამის შესაძლებლობას. საქმე ზ.ფინეთის წინააღმდეგ (/Z v. finland) იყო ერთ-ერთი პირველი საქმე რომელზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პერსონალური მონაცემების ტერმინი გამოიყენა მე-8 მუხლის ჭრილში. საქმეზე ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ (Amann v. Switzerland) სასამართლომ განაცხადა, რომ მე-8 მუხლში პირადი ცხოვრების განმარტება შეესაბამება ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციას. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება იმის მტკიცება, რომ სასამართლო პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების ცნებების ურთიერთმიმართებას: „პერსონალური მონაცემების დაცვა, ... არსებითი მნიშვნელობის არის პირის მიერ კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობისათვის.“ ცალსახაა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

[32] იხ.გერჰართ ბაუმი იხსენით ძირითადი უფლებანი! მოქალაქის თავისუფლება თუ უსაფრთხოება გერმანულიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძემ დავით უსუფაშვილის წინასიტყვაობით გვ111

კონცეფციებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და ხშირად ხდება მათი სამოქმედო სფეროების გადაფარვა, მაგრამ ისინი არ არიან იდენტური ცნებები შესაძლოა მათი დამოუკიდებელ უფლებებად აღიარებაც თუმცა, როგორც ავღნიშნე ფარული ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების კუთხით აღნიშნული სფეროს განხილვა მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ჭრილში, ვინაიდან მხოლოდ პერსონალური მონაცემების გასაჯაროვება კი არა, ამ შემთხვევაში რამდენიმე უფლების და სამართლებრივი ნორმის დარღვევა ხდება, რომლებიც ერთიანობაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფართო კონცეფციიდან გამომდინარე აუცილებლად ხვდება ამ უფლებით დაცულ სფეროში.[33] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება პირის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობით, და პირის იდენტობის მრავალი ასპექტით, როგორიცაა გენდერული იდენტობა და სქესობრივი ორიენტაცია, სახელი ან პირის საკუთარ იმიჯთან დაკავშირებული უფლება. პიროვნების რეპუტაცია ასევე წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლების ნაწილს. პირადი ცხოვრება მოიცავს ასევე სხვა ადამიანებთან ურთიერთობის (მათ შორის, რომანტიკული) შეუზღუდავად დამყარებისა და განვითარების უფლებას. ამას გარდა, პირადი ცხოვრების სფეროს განეკუთვნება ჯანმრთელობის მდგომარეობასთან / დაავადებებთან დაკავშირებული ინფორმაცია, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ბავშვის ქორწინების გარეშე გაჩენის და სქესობრივი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გულისხმობს, რომ ყველას, აქვთს უფლება იცხოვრონ პირადი ცხოვრებით არასასურველი ყურადღებისაგან დაცულ პირობებში (რომელიც ექვემდებარება გარკვეულ გამონაკლისებს). პრინციპი შემდეგია: მკაცრად პირადული საკითხების გაშუქებით ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლება, თუ არ მოხდა შესაბამისი პირის თანხმობის მოპოვება, ან თუ გაშუქება საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში არ ექცევა.

---

[33] იხ.სტატიათა კრებული ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, თბილისი 2015წ სტატიის ავტორი ნინო საგინაშილი. თბილისი 2015წ გვ177,178, 180, 190

პირადი ცხოვრება მოიცავს კომუნიკაციების კონფიდენციალურობას, რომელიც მოიცავს ფოსტის, სატელეფონო, ელექტრონული ფოსტისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების უსაფრთხოებას და კონფიდენციალურობას; და ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მათ შორის ონლაინ ინფორმაციას (Copland v. the United Kingdom, no. 62617/00, ECHR 2007-I). პირადი ცხოვრების კონცეფცია მოიცავს ადამიანის უფლების იმ ძირითად ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია მათ ფოტოსთან (Sciacca v. Italy, no 50774/99, § 29, ECHR 2005-I). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფოტომასალა ან ვიდეო, რომელიც შეიცავს პიროვნების ფოტოს მე-8 მუხლის ფარგლებში განიხილება. ფაქტობრივად ადამიანის უფლება მის გამოსახულებაზე გულისხმობს ადამიანის უფლებას ამ სურათის გამოყენების კონტროლის უფლების ჩათვლით, მათ შორის გამოქვეყნების უარყოფის უფლების ჩათვლით... (Von Hannover v. Germany (№2), 40660/08 და 60641/08, § 96, ECHR 2012) ეს შეესაბამება ასევე სოციალურ საიტებზე სურათების შენახვას. ეს არის ის სფერო, სადაც რეპუტაციის დაცვა და სხვების უფლებების დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ფოტო შეიძლება შეიცავდეს პირად ან თუნდაც პირად ინფორმაციას ინდივიდის ან მისი ოჯახის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე Verlagsgruppe News GmbH and Bobi Austria-ის წინააღმდეგ (no. 59631/09, 4 December 2012) ფოტოები გადაღებული იქნა მომჩივანის ბინაში კერძო ღონისძიების დროს. გადაღებაზე ისინი შეთანხმებულები იყვნენ თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ სხვებსაც ქონდათ ამ ფოტოების ნახვის უფლება. (§ 86) მათ მიიჩნიეს რომ ამ შემხვევაში პირადი ცხოვრების დაცვა არ იყო მნიშვნელოვანი (§§ 89-90) ამიტომ მოსარჩელის ინტერესების დაცვა მოხდა მისი ფოტოს დაცვის კუთხით. (§§ 89-90) პიროვნების ხმის უკანონოდ ჩაწერა და გასაჯაროვება ასევე ითვალისწინებს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ჩარევას (იხ. PG და JH v. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 44787/98, §§ 59-60, ECHR 2001-IX). საქმეში Khmel v. Russia (no. 20383/04, 12 დეკემბერი 2013) აპლიკანტი ჩიოდა რომ იგი გადაღებული იყო პოლიციის განყოფილებაში და რომ ვიდეომასალა გადაეგზავნა რეგიონულ ტელევიზიას; აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა მე -8 მუხლის დარღვევა.[34]

[34] იხ.europian courts of human rights research devision internet: case-law of the europian court of human rights updated june 2015. გვ 8 . ხელმისაწვდომია შემდეგ ელეტქრონულ მისამართზე https://www.echr.coe.int/Documents/Research_report_internet_ENG.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

„საქართველოს საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის უფლებასთან დაკავშირებით არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ამ უფლებით დაცულია „პირების კერძო სფერო (სივრცე), რომელშიც იგულისხმება: ა) კონკრეტული ტერიტორია, ადგილი /მაგ.საცხოვრებელი სახლი, პირადი ავტომანქანა ან სხვაპირადი მფლობელობა/; ბ) განსაზღვრულ პირთა წრე, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია, ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობისათვის; გ) ასევე საკითხები, რომელთა ანონიმურობა და ხელშეუხებლობა ან პირთა კონკრეტულ წრეში გასაჯაროებაც სურს პირს“[35] საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილისა და პირადი საქმიანობის, პირადი ჩანაწერების, მიმოწერის, ტელეფონით და სხვა ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის ხელშეუხებლობას. აღნიშნული ფუნდამენტური უფლებები აბსოლუტური არაა და შესაძლოა შეიზღუდოს, თუმცა, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაასაბუთოს ამ თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა, საჭიროება და პროპორციულობა. ამ უფლებაში ჩარევა უნდა იყოს აუცილებელი, ლეგიტიმური და ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ საქმეებზეც კი, სადაც პირის ფარული მიყურადება, მისი საუბრებისა თუ სხვ. ჩაწერა განხორციელდა მოსამართლის ბრძანებით, ცალკეულ შემთხვევებში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის [პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა] დარღვევა, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა: პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ საზედამხედველო ძალაუფლება მინიჭებული ჰქონდეს მოსამართლეს ისეთ სფეროებში, სადაც ინდივიდუალურ შემთხვევებში ძალაუფლების ბოროტად გამოყენება იმდენად მარტივია, რომ მან ზოგადად შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მთელ დემოკატრიულ საზოგადოებას (კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ /Klass and others v. germany/, სერია ა, #28, 6.9.78, პარ.55).“ [36]

---

[35] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ-№1/2/519-24.10.2012წ.

[36] იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საქართველოს სახელით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ საქმე №560ა-ბ18 , თ.დ. 560ა-ბ18, ქ.თბილისი 25.03.2019

2.1.შუალედური დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვება ჩემი აზრით განხილული უნდა იქნეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ჭრილში, ვინაიდან ამ კადრებით და ჩანაწერებით შეჭრა ხდება კონკრეტული პიროვნების პირად ცხოვრებაში. 1981 წლის ევროპის საბჭოს კონვენციის თანახმად, პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის მიზნით, "პერსონალური მონაცემები" განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი ინფორმაცია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ინდივიდთან. პირადი მონაცემების დაცვა და შენახვა ჯდება კერძო ცხოვრების იმ ფარგლებში, რომელიც ეს დაცულია კონვენციის მე -8 მუხლით. [37]

თავი III პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის მექანიზმები საქართველოში

3.1. ზოგადი მიმოხილვა.

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გავრცელების აკრძალვა, როგორც ზემოთ ვისაუბრე ხვდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში შესაბამისად მასზე ვრცელდება ყველა ის სამართლებრივი ნორმა რომლითაც დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხლებლობა, თუმცა ამ თავში დეტალურად ვისაუბრებ იმ სამართლებრივ ნორმებზე რომელთა მეშვეობითაც ხდება აღნიშნული სფეროს რეგულირება და დაცვის უზრუნველყოფა ასევე ვისაუბრებ პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის მექანიზმებზე ქართულ კანონმდებლობაში; პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროების აკრძავლასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემებზე; პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ფაქტების სტატისტიკაზე საქართველოში; პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ფაქტების აღმოფხვრისთვის გატარებული ღონისძიებებზე (პრაქტიკა); პასუხისმგებლობაზე პირადი ცხოვრების ამსახველი

[37] იხ. europian courts of human rights research devision internet: case-law of the europian court of human rights updated june 2015. გვ.7 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://www.echr.coe.int/Documents/Research_report_internet_ENG.pdf
ბოლო განახლება 27/06/2019წ.

ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვებისათვის; დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლებზე და პირადი ცხოვრების ამსასველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის დაცვისთვის გასატარებელი ღონისძიებებზე.

3.2. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის მექანიზმები ქართულ კანონმდებლობაში.

პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვა როგორც აღვნიშნე მიეკუთვნება ადამიანის ძირითად უფლებათაგან ერთ-ერთს. კონკრეტულად კი ეს არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. საქართველო, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის წევრი, რატიფიცირებული საერთაშორისო აქტების საფუძველზე, ეროვნულ მექანიზმებთან ერთად იყენებს უნივერსალურ და რეგიონალურ(ევროპულ) მექანიზმებსაც აღნიშნული უფლების დასაცავად. რაც შეეხება მოცემული უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს ამ ქვეთავში განვიხილავ ვრცლად.

ა.საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ

საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი[38] მისი უფლება-მოვალეობები გაწერილია საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში. აღნიშნული კანონის მესამე მუხლში მოცემულია რომ „საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა,

[38] იხ.კონსტიტუციის მუხლი 35

საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა.“ როგორც ცნობილია, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალის თვითნებური გასაჯაროვება სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. ადმიანიას პირად სივრცეში სახელმწიფოს შეჭრის პროცესი მთლიანად უნდა ექცეოდეს კანონით დადგენილ ჩარჩოებში. პირად სივრცეში ჩარევის კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმის ერთ-ერთ ფორმას სასამართლო ხელისუფლების კონტროლის მექანიზმი წარმოადგენს.[39]

ბ. საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ და საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის მექანიზმებიდან უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ინსპქტორის სამსახური რომელიც არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო და იქმნება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიზანია, განახორციელოს: ა) პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი; ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი; ასევე ამ კანონშია გაწერილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეები, რომელეთა მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება ევალება ინსპექტორს.[40]

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს. ამ სფეროში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა; ბ) პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა; გ) პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება); დ) საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან

[39] იხ.საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015წ გვ 476.
[40] იხ. საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, მუხლი 2, მუხლი 19

დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ცნობიერების ამაღლება.“[41]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვალდებულებებში შედის მონაცემთა სუბიექტის განცხადება პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით და ამასთან დაკავშრებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება.[42]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განახორციელოს ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის შემოწმება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია შემოწმების განხორციელებისას ნებისმიერი დაწესებულებისგან, ფიზიკური პირისგან ან/და იურიდიული პირისგან გამოითხოვოს დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, სახელმწიფო, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველი მასალა ან/და დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება და აუცილებელია შემოწმების კანონით დადგენილ ფარგლებში განსახორციელებლად. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია შემოწმების განსახორციელებლად შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში და გაეცნოს ნებისმიერ დოკუმენტსა და ინფორმაციას, მათ შორის, სახელმწიფო, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველ მასალას ან/და დოკუმენტაციას ან/და ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება, მიუხედავად მათი შინაარსისა და შენახვის ფორმისა.[43]

საინტერესოა რა ბერკეტები აქვს ამ ინსტიტუტს. „თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გამოავლენს ამ კანონის ან მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი სხვა

[41] იხ. საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, მუხლი 13
[42] იხ. იქვე მუხლი 14
[43] იხ. იქვე მუხლი 15

ნორმატიული აქტის დარღვევას, იგი უფლებამოსილია გამოიყენოს ერთ-ერთი ან ერთდროულად რამდენიმე შემდეგი ღონისძიება: ა) მოითხოვოს დარღვევისა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების მის მიერ მითითებული ფორმით და მითითებულ ვადაში გამოსწორება; ბ) მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებით ან სამუდამოდ შეწყვეტა, თუ მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის მიღებული ზომები და განხორციელებული პროცედურები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; გ) მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, განადგურება ან დეპერსონალიზაცია, თუ მიიჩნევს, რომ მონაცემთა დამუშავება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება; დ) მოითხოვოს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის შეწყვეტა, თუ მონაცემთა გადაცემა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება; ე) წერილობით მისცეს რჩევები და გაუწიოს რეკომენდაცია მონაცემთა დამმუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს მის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული წესების უმნიშვნელოდ დარღვევის შემთხვევაში; ვ) დამრღვევს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.“[44]

აღნიშნულ ინსტიტუს ასევე აქვს ფინანსური ბერკეტი, ანუ ეს არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, შეუძლია ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრება,[45] რომელიც მაღალი არ არის, მაგრამ უფრო რეპუტაციის საკითხია. ანუ არსებობს ფინანსური ჯარიმა და გაფრთხილება. დღევანდელი რედაქციით ჯარიმების ოდენობა მერყეობს 100-დან 10 ათას ლარამდე. ეს ძალიან სენსიტიური თემაა, ყოველ წამს და წუთს აქვს მნიშვნელობა, განსაკუთრებით გასაჯაროვების საკითხში. იმიტომ რომ ყველაზე დიდ პრობლემას ადამიანებს უქმნის გასაჯაროვებული მონაცემები, იმიტომ რომ ეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან უფლებას, ღირსების უფლებას უკავშირდება...[46]

---

[44] იხ. საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, მუხლი 16.

[45] იხ. იქვე მუხლი 55

[46] იხ.ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 23 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „როგორ დავიცვათ პირადი ცხოვრება?“ მოხსენებელი თამარ ქალდანი გვ 21-22 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/11/how_to_protect_personal_life.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

საქართველოს კანონით „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ განისაზღვრა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილებები ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კონტროლის სფეროში, კერძოდ განისაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე-138-ე მუხლებითა და 143[1]-ე უხლის პირველი ნაწილის „ა,ბ,გ,დ,ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის უფლებამოსილება.[47]

ცვლილებებით ასევე განისაზღვრა, რომ „სააგენტოს შემოწმების (ინსპექტირების) განხორციელებისას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია: ა) შევიდეს სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალში და მიმდინარე რეჟიმში დააკვირდეს უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქმიანობის განხორციელებას; ბ) გაეცნოს სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ) სამართლებრივ დოკუმენტებს და ტექნიკურ ინსტრუქციებს; გ) მიიღოს ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიზნებისთვის გამოყენებული ტექნიკური ინფრასტრუქტურის შესახებ და შეამოწმოს ეს ინფრასტრუქტურა; დ) სააგენტოს მოსამსახურეებს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები შემოწმების (ინსპექტირების) განხორციელებისას გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით; ე) განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.“[48]

როგორც ზემოთ აღვნიშნე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაექვემდებარა ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმე, კერძოდ განისაზღვრა უფლებამოსილებები სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების სფეროში.[49]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია: ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში, ამ კანონით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული

[47] იხ. საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, მუხლი 18
[48] .იხ. იქვე, მუხლი 18
[49] იხ. იქვე მუხლი 19

მოცულობით ჩაატაროს გამოძიება და განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა; ბ)მოიპოვოს, დაამუშაოს და გააანალიზოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, შექმნას საინფორმაციო სისტემები; გ)საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს ტექნიკური აღჭურვილობა/საშუალებები ან/და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ეკუთვნის სხვა სახელმწიფო ორგანოს, გარდა იმ უწყებისა, რომლის თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტზედაც აწარმოებს გამოძიებას; დ)განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ღონისძიებები და მოქმედებები.[50]

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამის მოადგილეს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელს უფლება აქვთ, უფლებამოსილების ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით გამოიყენონ ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი. [51]

პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება ასევე საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ , სადაც გაწერილია მონაცემთა დაცვის პრინციპები და სხვადასხვა სახის მონაცემთა დამუშავების წესები. გაწერილია მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულება მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.[52] აღნიშნული კანონის მიხედვით მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.[53]

გ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

[50] იხ. საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, მუხლი 20
[51] იხ. იქვე მუხლი 21
[52] იხ.საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ
[53] იხ.საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, მუხლი 20.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების /ჩანაწერების საიდუმლოების ხელყოფა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. პირადი და ოჯახური საიდუმლოების ხელყოფის კრიმინალიზაცია მნიშვნელოვანი მექანიზმია აღნიშნული უფლების დარღვევის პრევენციისათვის. სისხლის სამართლის კოდექსში რამდენიმე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფისთვის. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია 157-ე მუხლს, რომლის თანახმადაც დასჯადია პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.[54] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] მუხლის თანახმად, პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას. შესაბამისად, აღნიშნულზე რეაგირება წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილებას[55] პირველადი მექანიზმი სამართალდამცავი ორგანოებიდან აღნიშნული დანაშაულის აღსაკვეთად არის სოციალური ქსელის ან youtube-ის იმ მომხმარებლის დაბლოკვა ვისგანაც ხდება აღნიშნულის გავრცელება, ეს ყველაფერი ხდება ელექტრონულად და ძალიან მცირე დროში. არხების დაბლოკვით ხდება წვდომის შეზღუდვა, თუმცა ეს არ იძლევა იმის გარანტიას რომ რაღაც დროის შემდეგ აღნიშნული ჩანაწერი ისევ არ იქნება ატვირთული, რადგან შესაძლოა ინახებოდეს ნებისმიერი პიროვნების ტელეფონში კომპიუტერში ან სხვა ციფრულ ტექნიკაში. კიბერ დანაშაულის სამმართველოს აქვს უფლება განახორციელოს დამოუკიდებელი სამართლებრივი ქმედებები დანაშაულის აღსაკვეთად. ასევე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების უკანონო გასაჯაროვების აღსაკვეთად შესაძლოა დაიბლოკოს კონკრეტული საიტიც, ამას

[54] იხ. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი) კვლევა მომზადებულია ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში www.gdi.ge 2014, გვ 26-27 პარ, 3.2.1. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://gdi.ge/uploads/other/0/189.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[55] იხ დანართი № 1 სახალხო დამცველის აპარატში ჩემს მიერ გაგზავნილი 2019 წლის 28 მარტის №PDP 8 19 00001199 წერილის პასიხი

ანხორციელებს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი მონაცემთა გაცვლის სააგენტო. საიტის შემთხვევაში ბლოკავს პროვაიდერი. სტატისტიკა აჩვენებს, რომ შეიძლება ყველაფერი არ დაიბლოკოს, ეს დამოკიდებულია გასაჯაროვებული კადრების/ჩანაწერების შინაარსზე, თუმცა ხშირად მსგავს შემთხვევაში იბლოკება. ზემოთ აღნიშნული მეთოდები არის აპრობირებული და გამოიყენება არა მარტო საქართველოში არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. [56]

საქართველოში ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებით შსს-ს რეაგირებისა და გამოძიებასთან მიმართულებით არსებულ გამოცდილებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ვლადიმერ ბორცვაძის განცხადებით. პირველი დოკუმენტი, რომელიც ჩვენს პირად ცხოვრებას და ოჯახურ საიდუმლოებას იცავს კონსტიტუციაა, სადაც წერია რომ პირადი ცხოვრება/ოჯახური საიდუმლოება ხელშეუხებელია და მისი დარღვევის უფლება არავის აქვს გარკვეული გამონაკლისების გარდა. ეს გამონაკლისებია: როდესაც საგამოძიებო ორგანო იძიებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს. გამოძიებას იმ შემთხვევაში შეუძლია ჩვენს პირად სივრცესა და ცხოვრებაში გარკვეული ინფორმაციის მოპოვების უფლება, როდესაც არსებობს გარკვეული საფუძველი. ეს საფუძველია - მტკიცებულებების მოპოვების კუთხით მოსამართლის მიერ გაცემული განჩინება - ვარაუდი, რომ კონკრეტულმა ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული და ეს უფლების შემზღუდავი ღონისძიება აუცილებელია მტკიცებულებების მოსაპოვებლად. კონსტიტუციის შემდეგ არის სისხლის სამართლის კოდექსი, სადაც არის მუხლი, რომელიც რომელიც არის პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფას დასჯად ქმედებად მიიჩნევს. "პირველი ქმედება რაც ისჯება ეს არის პირადი ცხოვრების ამსახველი საიდუმლოების ამსახველი ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება. შესაბამისად თუ ადამიანი ნებისმიერი ფორმით მოიპოვებს პირადი ცხოვრების ამსახველ ნებისმიერ მონაცემს, ეს დანაშაულია. ამასთან, ეს დანაშაულია იმ შემთხვევაშიც თუ მონაცემი მოპოვებულია იმ პიროვნების ნების საწინააღმდეგოდ და მისი თანხმობის გარეშე, ვისაც ეს მონაცემები ეხება" შემდეგი ქმედება არის შენახვა - თუ

[56] იხ. დანართი № 2 ინტერვიუ ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის გამომძებელი პაპუნა ციმინტიასთან და აღნიშნული დეპარტამენტის კიბერ თანამშრომლის გიორგი სურგულაძესთან.

მაგალითად კონკრეტულმა პირმა არ მოიპოვა, მაგრამ მას გაუზიარეს და ეს ჩანაწერი ნახა, გაეცნო და შეინახა, ესეც დანაშაულია. რატომ შეიძლება იყოს შენახვა დანაშაული? "საზოგადოებაში გაჩნდა კითხვა: მე თუ ჩემმა მეგობარმა გამომიგზავნა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი, გავხსენი ტელეფონი, გავეცანი მას და შევინახე - რა საფრთხეებია ამ შემთხვევაში: იმ მომენტისთვის მე თუ არ მქონდა ამ ჩანაწერის გავრცელების განზრახვა, ეს იმას არ გამორიცხავს, რომ ხვალ ანალოგიური განზრახვა არ გამიჩნდება", - თქვა ბორცვაძემ და დასძინა, რომ ჩანაწერი უნდა წაიშალოს. ასევე ბორცვაძემ თქვა, რომ მოქალაქეს კანონი ავალდებულებს, როდესაც ის დანაშაულის მომზადების, ჩადენის შესახებ იღებს ინფორმაციას, სამართალდამცავ ორგანოს აცნობოს. ამასთან, კანონის არცოდნა ადამიანს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს, ასევე არ ათავისუფლებს "მეგობრობაც". რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მსგავსი ტიპის საქმეების გამოძიებაში დაგროვებულ ცოდნას, უწყებას ამ მიმართულებით გამოცდილება აქვს და არაერთი საქმე გამოუძიებიათ ამ ტიპის დანაშაულის. გამოძიების ფარგლებში შსს თანამშრომლობს არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო კომპანიებთანაც: არსებობს თანამშრომლობის რამდენიმე ბერკეტი. საქართველო არის ინტერპოლის წევრი ქვეყანა, შ.ს.ს ასევე თანამშრობლობს ევროპოლთან, 24-საათიან რეჟიმში ხდება მათთან ინფორმაციის გაცვლა, ვართ კონვენციის წევრი, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეგვიძლია გავგზავნოთ სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობა, მოვითხოვოთ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და ადგილობრივი სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები ამ მოქმედებებს ახორციელებენ. ასევე შეგვიძლია ოპერატიული თანამშრომლობის კუთხით ვიურთიერთოთ და ინფორმაცია მივიღოთ როგორც Facebook-იდან ასევე სხვა ინტერნეტპროვაიდერისგან. გამოძიების ფარგლებში მათი მთავარი მიზანია გამოძიება მივიდეს იმ პირველ წყაროსთან, ვისგანაც პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერი გავრცელდა. ისინი ხელმძღვანელობენ შესაბამისი კანონმდებლობით და მტკიცებულებების თუ ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვებისას ხელმძღვანელობენ კანონით, კანონში გაწერილი პროცედურებით. [57]

[57] იხ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე

დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია სასამართლო, მაგრამ დამატებით ევროპული საზოგადოება შეთანხმდა, რომ უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე თუ უფლების დარღვევაზე სწრაფი რეაგირების მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭირო იყო დამატებითი მექანიზმების შექმნა. ერთი მხრივ როგორც აღნინიშნა ეს არის ინსპექტორის ინსტიტუტი. შეიქმნა დამატებითი საზედამხედველო ორგანოები, რომლებიც პროაქტიულადაც აკვირდებიან პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას და ამავე დროს რეაგირებენ მოქალაქეთა განცხადებებზე, რაც ევროპული საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ სასამართლო პროცესი შეიძლება წლობით გაგრძელდეს, რაც ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ხშირად ადამიანს არ შეუძლია საკუთარი თავის და ინტერესების დაცვა. ამიტომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ინსტიტუტები უფრო მისაღები ფორმა გახდა. [58]

3.3. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროების აკრძავლასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემები.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა გაზარდა მონაცემთა შეგროვებისა და მასთან დაშვების პოტენციალი. მონაცემები შეიძლება შეგროვდეს, შესაძლებელია ისინი შეუდარდეს სხვა მონაცემთა ბაზას, გადამუშავდეს და დაიგზავნოს სხვა პირებთან. პირადი ცხოვრება უპრეცედენტოდაა დაუცველი სწორედ ციფრული ტექნოლოგიების პირობებში. ციფრული ტექნოლოგიის მეშვეობით შესაძლებელია გამოიყოს მონაცემთა გადაცემის სამი სტადია: 1. მონაცემთა შეკრება; 2. მონაცემთა შეერთება და შედარება; 3. მონაცემთა დახარისხება. ციფრული ტექნოლოგიების წყალობით, მას შემდეგ, რაც ერთ კომპიუტერში გაჩნდება მონაცემები, შესაძლებელია მისი გადაგზავნა, შედარება და ინკორპორირება სხვა მონაცემებთან. ცხადია, ციფრული ტექნოლოგიების

---

https://imedinews.ge/ge/dzalovnebi/95335/rogor-ebrdzvis-shss-paruli-videochanatserebis-gavrtselebas-da-ratom-isjeba-mati-shenakhva , ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[58] ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 23 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „როგორ დავიცვათ პირადი ცხოვრება?“ https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/11/how_to_protect_personal_life.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

გამოგონებამდე პერსონალური თუ სხვა მონაცემების ამგვარი მოძრაობა შეუძლებელი იყო. პერსონალური მონაცემები, რომელიც გროვდება და იცვლება სხვადასხვა კომპიუტერების ურთიერთკავშირის მეშვეობით, წარმოადგენს ამ მონაცემების სუბიექტის ქცევისა და მოქმედების ამსახველ ფორმას[59] ბოლო წლების განმავლობაში ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერების უკანონოდ მოპოვებისა და გავრცელების მხრივ რომ ძალიან რთული ვითარებაა საქართველოში ნათლად ჩანს საქართველოს სახალხო დამცველის 2015, 2016, 2017 წლის ანგარიშებში.[60] 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება კიდევ უფრო მეტად იქცა თავდასხმის ობიექტად. მიუხედავად იმისა, რომ გახშირდა ამ მიმართულებით ჩადენილი დანაშაულები, მათ გამოსაძიებლად და დამნაშავეთა დასასჯელად სახელმწიფოს ადეკვატური ღონისძიებები არ გაუტარებია. არასაკმარისმა რეაქციამ კი დაუსჯელობის სინდრომი კიდევ უფრო გაამყარა. 2016 წლის 11 მარტიდან 13 ივნისამდე პერიოდში სხვადასხვა სოციალური ქსელებითა და ვებ–გვერდების მეშვეობით ინტენსიურად ვრცელდებოდა სხვადასხვა პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერები[61]

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინარე პერიოდში ასევე გახშირდა პოლიტიკოსთა და სხვადასხვა პირთა შორის გამართული სატელეფონო საუბრების შემცველი აუდიოჩანაწერების გავრცელება, ძალიან ბევრ ფაქტზე, სახალხო დამცველის მოწოდების მიუხედავად პროკურატურამ არ დაიწყო გამოძიება, ზოგიერთ ფაქტზე გამოძიება უშედეგოდ მიმდინარეობს, დაზარალებულად ან ბრალდებულად არავინაა ცნობილი.[62]

ბოლო დროს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებამ და ამით მოქალაქეების შანტაჟის შემთხვევებმა აჩვენა, რომ სამართალდამცავ ორგანოებს კვლავ აქვთ წვდომა კავშირგაბმულობის ოპერატორებთან და მოქალაქეებს შორის ნებისმიერი

---

[59] იხ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.3&d=HASH01ffaf957157488e546f5b51.2.3
ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[60] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში გვ118, საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში გვ 405, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015წ. გვ475

[61] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016წ გვ405

[62] იხ.საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში გვ118

სახის კომუნიკაციასთან.[63] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე სარისკო სამართალდამცავთა საქმიანობა გახლავთ. სამართალდამცავთა მიერ პირის პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში შეჭრა – ტელეფონის მოსმენა, ჩხრეკა, ამოღება თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებები რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. რომ თუ ბრალდების მხარე არ მიიჩნევს საჭიროდ მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას ის უნდა განადგურდეს. ასევე კოდექსი განსაზღვრავს ინფორმაციის განადგურების ვალდებულებას იმ შემთხვევაში როცა ბოლო ინსტანციის სასამართლო გამოიტანს განაჩენს კონკრეტულ საქმეზე. 143[8] მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ინფორმაცია უნდა განადგურდეს საბოლოო განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ. ასევე 143[3] მუხლი პირს ანიჭებს უფლებამოსილეაბს გაასაჩივროს მის მიმართ მიმდინარე, ან დასრულებული ფარული საგამოძიებო მოქმედება თუ ჩათვის, რომ მოქმედებები უკანონოდ იყო განხორციელებული. აღნიშნულ შემთხვევაში მას ენიჭება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.[64] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფუნდამენტურ არსს არღვევს სახელმწიფო თუ კერძო პირთა მიერ ციფრული და ტრადიციული კომუნიკაციის საშუალებით გაცვლილ მონაცემთა საყოველთაო და არამიზნობრივი შეგროვება, შენახვა და ანალიზი კონკრეტული გონივრული ეჭვის არსებობის გარეშე („მასობრივი მიყურადება“). აღნიშნულს ასევე აქვს შემზღუდველი ეფექტი ისეთი უფლებებით სარგებლობაზე, როგორიც არის გამოხატვის თავისუფლება და უფლება საკუთარ აზრზე. აღნიშნული ყალიბდება ინფომრაციის მოძიების, მისდამი წვდომის მიღებისა და ონლაინ გავრცელების პროცესში. მასობრივი მიყურადება, როგორც ასეთი ყოველთვის წარმოადგენს არაპროპორციულ ჩარევას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციის თავისუფლებაში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომუნიკაციის მიყურადებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და პროცედურები თანხვედრაში იყოს

[63] იხ. ელექტრონული ინფორმაცია, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/ge/this-affects-you-campaign , ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[64] იხ. პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში. გიორგი კეჭაღმაძე თბილისი 2016წ. გვ.29,30

ონლაინ კომუნიკაციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო პრინციპებთან.[65]

საქმეზე Roman Zakharov v. Russia (განაცხადი N 47143/06; 04/12/2015) წინამდებარე საქმე ეხებოდა მობილური სატელეფონო კავშირების ფარული მოსმენების სისტემას რუსეთში. განმცხადებელი, საგამომცემლო კომპანიის მთავარი რედაქტორი ჩიოდა, რომ რუსეთში, მობილური ქსელის ოპერატორები კანონის შესაბამისად ვალდებულნი იყვნენ დაემონტაჟებინათ ისეთი აღჭურვილობა, რომელიც საშუალებას მისცემდა სამართალდამცავ ორგანოებს განეხორციელებინათ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. ამასთან, რუსეთის კანონმდებლობაში არარსებული საკმარისი გარანტიების გამო, აღნიშნული ფაქტი უშვებდა კომუნიკაციების სრული ფარული მიყურადების შესაძლებლობას. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი(პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა), დაასკვნა რა, რომ რუსეთის სამართლებრივი დებულებები კომუნიკაციის ფარული მიყურადების თაობაზე არ უზრუნველყოფდა ადეკვატურ და ეფექტურ გარანტიებს თვითნებობისა და უფლების ბოროტად გამოყენების რისკის წინააღმდეგ. აღნიშნული გარეომებები ფარული თვალთვალის ნებისმიერი სისტემის თანამდევი და განსაკუთრებით აქტუალური იყო ისეთი ქვეყნისთვის როგორიც რუსეთია, სადაც საიდუმლო სამსახურებსა და პოლიციას ტექნიკური საშუალების გამოყენებით პირდაპირი წვდომა აქვთ ყველა მობილურ სატელეფონო კომინიკაციასთან, კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა სამართლებრივი ჩარჩოს ხარვეზები შემდეგ გარემოებებში: ის ვითარება, რომელშიც რუსეთის საჯარო ხელისუფლება უფლებამოსილია მიმართოს ფარული სათვალთვალო ღონისძიებებს; ასეთი ზომების ხანგრძლივობა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც იგი უნდა შეწყდეს; მონაცემთა ამოღების, აგრეთვე უკანონოდ მოპოვებული მონაცემების შენახვისა და განადგურების პროცედურები; ფარული მიყურადების ზედამხედველობა. გარდა ამისა, სამართლებრივი დაცვის არსებული საშუალებების

[65] იხ. გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გლობალური პრინციპები პოლიტიკის დოკუმენტი ორგანიზაცია „მე-19 მუხლი“ პრინციპები ქართულად ითარგმნა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ.გვ.13 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/Article_19_Expression_and_Privacy_Principles.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

ეფექტურობა ე.წ. მოსმენების მიმართ სადავოდ გახდის მიზნით, შერყეული იყო იმ ფაქტით, რომ აღნიშნული საშუალებები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ იმ პირებისთვის, რომელთაც შეძლეს მონაცემთა ამოღების მტკიცებულებების წარმოდგენა; ასეთი მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელი იყო გაფრთხილების ნებისმიერი სისტემის მონაცემთა ფარული მიყურადების შესახებ ინფორმაციისადმი წვდომის შესაძლებლობების არსებობის პირობებში.[66]

მნიშვნელოვანია რომ ინფორმაცია/ჩანაწერი რომელიც ინახება პოლიციაში სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტის შემდეგ უნდა იქნეს წაშლილი ვინაიდან მისი შენახვა არის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში არაპროპორციული ჩარევა. მაგალითად ბატონი ხვედელიძის საქმე, რომელიც შს მინისტრის მოადგილე იყო. ინფორმაცია, რომელიც გასაჯაროვდა, დაცული იყო სამინისტროში. ბრალი წაეყენა მხოლოდ მინისტრის მოადგილეს, სხვა მონაწილე პირების შესახებ არაფერი გვსმენია, ისევე როგორც დანაშაულებრივ სქემაზე. ეს ჩანაწერი არსებობდა არქივში. ჩანაწერების ნაწილი სისტემატიზებული იყო, ნაწილი - არა, მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო მათი სისტემატიზაცია. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს არ ყოფილა საგამოძიებო ინტერესებით მოპოვებული ფარული ჩანაწერი, იმიტომ რომ არ არსებობს სისხლის სამართლის ის საქმე, რომლის გამოც ეს ჩანაწერი გაკეთდა. თუ ჩანაწერი არ შეიცავს დანაშაულის ელემენტებს, მაგრამ შეიცავს მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას, და შესაძლოა ეს კადრები ასეთად ჩაგვეთვალა. წესით ისინი განადგურებული უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ კადრებში არ არის ისეთი ტიპის საუბარი, რომელიც სისხლის სამართლის რომელიმე საქმისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე უნდა ითქვას რომ ეს არის უპატრონო კადრი, და ის გამოიყენა ადამიანმა, ვისაც ჰქონდა თავისი კონკრეტული პოლიტიკური ინტერესი. რაც თავისთავად კანონდარღვევაა.[67]

---

[66] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი.საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი თბილისი 2016წ. გვ51 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/tematuri_sadziebeli2016.pdf ბოლო განახლება 27/06/2019

[67] იხ.ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 23 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „როგორ დავიცვათ პირადი ცხოვრება?“ მომხსენებელი ზვიად ქორიძე, გვ.19-20 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე

საქმეზე Brunet v. France (განაცხადი N21010/10; 18/09/2014) აპლიკანტი ჩიოდა მის პირად ცხოვრებაში ჩარევის თაობაზე, რომელიც უკავშირდებოდა პოლიციის მონაცემთა ბაზაში - STIC-ში ჩასმას (აღწერილი დანაშაულების დასამუშავებელი სისტემა) აღნიშნული სისტემა შეიცავდა ინფორმაციას გამოძიების მასალებში ჩამოთვლილი მონაწილე პირებსა და დაზარალებულების შესახებ, მომჩივნის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტის შემდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება), დაასკვნა, რომ საფრანგეთის სახელმწიფომ დაარღვია თავისი დისკრეციული უფლებამოსილება შემდეგი საკითხების გადაწყვეტისას: ინფორმაციის შენახვა შესაძლებელია განიხილებოდეს, როგორც განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცეის უფლებაში არაპროპორციული ჩარევა და არ იყოს აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებაში. კერძოდ ევროსასამართლომ მიიჩნია რომ განმცხადებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ მის შესახებ არსებული იფნორმაცია წაეშალა მონაცემთა ბაზიდან, აღნიშნული ინფორმაციის შენახვის უფლება. ამ ინფორმაციის შენახვა 20 წლის განმავლობაში შესაძლებელია შედარებული იქნეს იმ ნორმასთან, რომელიც ადგენს მაქსიმალურ ზღვარს იმ შემთხვევაშ თუ არ არსებობს განუსაზღვრელი ვადით შენახვის უფლება.[68]

პერსონალურ მონაცემთა დაცვა აქტუალური გახდა 1970-იან წლებში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების საპასუხოდ. კერძოდ, კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობების გაზრდამ, ინტერნეტის განვითარებამ, მეცნიერების და ტექნოლოგიის სრულყოფის პროცესმა შესაძლებელი გახადა პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავება, რაც გულისხმობს იმას რომ გაადვილდა დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გამოყენება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მიერ. ამასთან ტექნოლოგიურმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა მონაცემების სწრაფი მოძრაობა და გადაცემა როგორც ქვეყნის

---

https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/11/how_to_protect_personal_life.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[68] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი.საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი თილისი 2016 გვ 45,46 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/tematuri_sadziebeli2016.pdf ბოლო განახლება 27/ 6/2019წ.

შიგნით, ისე საზღვრებს მიღმა, საერთაშორისო დონეზე, რაც ამარტივებს და ზრდის პერსონალური მონაცემების შემდგომი გამოყენების მასშტაბებს. ამასთან, მარტივად, სწრაფად და დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემების დამუშავება მნიშვნელოვნად ზრდის მისი ბოროტად გამოყენების რისკებს.[69] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ განმარტავს, თუ ვინ შეიძლება იყოს მონაცემთა დამმუშავებელი, ეს არის: „საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს“. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. როგორც მოცემული კანონის ტექსტიდან ჩანს, კანონი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის მიერ. დამუშავებული მონაცემები კი, გადაეგზავნება მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, რომელიც დამუშავების კანონიერების ზედამხედველის როლში გვევლინება. ტერმინი „დამუშავება“ გულისხმობს პერსონალურ მონაცემებზე შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, რაც ასევე მოიცავს მონაცემთა გამჟღავნების - მისი გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზას. უფრო დეტალურად რომ განიმარტოს, „მონაცემთა დამუშავების“ განმარტებას იძლევა, „შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიო- ან ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება“[70] ამ წესების დარღვევით მონაცემთა შეგროვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება კანონდარღვევაა და შეიძლება მოგვაყენოთ როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი. იმისთვის, რომ დადგინდეს, დაირღვა თუ არა

[69] იხ.პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, თბილისი 2016, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, სტატიის ავტორები თამარ ქალდანი, ნინო სარიშვილი გვ 157

[70] იხ.პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, თბილისი 2016, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, სტატიის ავტორები თამარ ქალდანი, ნინო სარიშვილი გვ 157

კანონი, ყველა ცალკეული შემთხვევაზე ინდივიდუალური მიდგომა და სამართლებრივ მსჯელობაა საჭირო. თუმცა არსებობს ორი ძირითადი პირობა, რომელიც მონაცემთა კანონიერად დამუშავებისთვის ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია: სამართლებრივი საფუძვლის არსებობა და კანონით დადგენილი პრინციპების დაცვა. [71]

როგორც ჩანს, მონაცემთა დამუშავება, მრავალ სპექტრს მოიცავს და ამასთანავე, არ არის გამოყოფილი მათი დაცვის დონე - ანუ კანონმდებლობა, მათ მიიჩნევს ერთ დონეზე დაცვის ღირსად. არ არის გამოკვეთილი, თუ, რომელი უფრო პრიორეტულია, რაც თავის მხრივ, უკვე წარმოადგენს პრობლემას. მაგ. ინფორმაციის შეგროვებასა და გავრცელებას შორის არ არის განსხვება, პრიორიტეტულობის მხრივ. მართალია, მონაცემების შეგროვების პროცესშიც შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებები, მაგრამ ზოგადად, მონაცემების/ინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება უფრო ხელყოს ადამიანის უფლებები. ამიტომ ეს უკანასკნელი, უფრო მეტად უნდა იყოს დაცული.[72]

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვების აკრძალვასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს აღსრულება, კერძოდ ეს პრობლემაა პოლიტიკური ნება და პროფესიონალიზმი. რაც იმას ნიშნავს რომ აღნიშნული გამოძიებები ან არ ხერხდება ან ვერ ხერხდება. ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ აჩვენა რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვება ხდება პოლიტიკური ტერორის გამო, იმის გამო რომ კონკრეტული ადამიანის რეპუტაცია იქნეს შელახული, შესაბამისად არ არის გამორიცხული რომ არ არსებობდეს აღნიშნული დანაშაულების გამოძიების პოლიტიკური ნება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ამ საქმეების წლობით თაროზე შემოდება და დაუსჯელობის სინდრომი, პროფესიონალიზმს რაც შეეხება აღნიშნული დანაშაულის გამოძება რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი და აქაც იგივე პრობლემას ვხვდებით, ან ვერ იძიებენ დანაშაულს ან პოლიტიკური ნების გამო უბრალოდ არ იძიებენ ბოლომდე. ეს ყველაფერი კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში არ გადაიყვანს და გაახშირებს აღნიშნული

[71] იხ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://personaldata.ge/ka/ukanono-damushaveba ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[72] იხ.პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები ლევან ჯგერენაია თბილისი 2012 წ გვ10 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://library.court.ge/upload/2962013-03-29.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

დანაშაულების სტატისტიკას და ხელს შეუშლის საკითხის მოგვარებას. მესამე პრობლემაა საზოგადოებრივი ცნობიერება რომელ საზოგადოებაშიც მუშაობს ეს თემა იმ საზოგადოებაში ხდება ამით ადამიანების დაშანტაჟება. [73]

ზემოაღნიშნული სამართლებრივი პრობლემების გარდა მე პირადად მოცემულ საკითხთან დაკავიშრებით ყველაზე დიდ პრობლემად მიმაჩნია საზოგადოებრივი ცნობიერება, საზოგადოებაში უნდა ჩამოყალიბდეს აზრი რომ სხვისი პირადი ცხოვრება არის სხვისი პირადი და გამძაფრებული ინტერესი აღნიშნულ საკითხზე არაეთიკურია. თუკი შეიცვლება საზოგადოებრივი აზრი აღნიშნულ ჩანაწერებს და ვიდეოებს აღარ ექნებათ მაკომრომატირებელი ძალა და შესაბამისად მათი გავრცელება არაფრის მომცემი იქნება, რაც თავისთავად დანაშაულის სტატისტიკასაც შეამცირებს. შესაბამისად ვფიქრობ კარგი იქნება თუკი პერსონალურ მონაცემთა დაცვის დეპარტამენტი ან შინაგან საქმეთა სამინისტრო გაითვალისწინებს ბიუჯეტში აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით სოციალურ რეკლამების გავრცელებას საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლის მიზნით. 2019 წელს გახმაურებული კადრების გასაჯაროვების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით იმ დროს, როცა სახელმწიფო სამწუხაროდ არის უძლური დაადგინოს ვინ დგას ამ კადრების, შანტაჟის უკან, საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა და გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ ხელი არ შეეწყოს იმ ადამიანებს თუ ინტერესთა ჯგუფებს, ვინც დგას კადრების გავრცელების უკან, რომ ეს კადრები გავრცელდეს და ადამიანები იყვნენ ტერორში.[74]

დაცვის მექანიზმის თვალსაზრისით, ერთია კანონები და მეორე, როგორ ვიყენებთ ამ კანონებს. იმიტომ რომ სახელმწიფო ვერ მოვა და ვერ გიშველის, თუ არ იცის, შენი პირადი ცხოვრება დაცულია თუ არა. ამიტომ ადამიანები თვითონ უნდა მიმართავდნენ კანონის აღსრულებას, მიმართავდნენ სასამართლოების საშუალებით. ამ მხრივ საქართველოში საქმე საკმაოდ ცუდად არის ვინაიდან საზოგადოებაში არ არის ცნობიერება და აუცილებელია შემუშავდეს რაიმე მექანიზმი საზოგადოებრივი

[73] იხ. დანართი №3 ინტერვიუ ლიკა საჯაიასთან.

[74] იხ . ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://www.tabula.ge/ge/verbatim/146424-lomjaria-samtsuxarod-saxelmtsifo-udzluria-daadginos-vin-dgas-am-kadrebis-da , ბოლო განახლება 27/06/2019წ.

ცნობიერების გაზრდისთვის იმისთვის, რომ საკითხი გახდეს აქტუალური. რომ ეს არ იყოს მხოლოდ რამდენიმე მცოდნე ადამიანის მსჯელობის საგანი.[75]

3.4. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ფაქტების სტატისტიკა საქართველოში;

პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ფაქტების სტატისტიკას რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი 2019 წლის 8 მაისის #MIA 9 19 01182471 წერილიდან ირკვევა რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს (ასევე პოლიციის სამმართველოებსა და განყოფილებებს) ჰყავთ საკუთარი საქმისწარმოების ქვედანაყოფები/უფლებამოსილი პირები, აუცილებელია დაზუსტდეს თუ კონკრეტულად სად იქნა შეტანილი განცხადებები. ამასთან, სამინისტროს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ინფორმაცია შესაძლოა მითითებული იყოს არასრული სახით, განცხადებების რეგისტრაციისას ყოველთვის არ არის დეტალიზებული კორესპონდენციის შინაარსობრივი მხარე,შესაბამისად შეუძლებელია კონკრეტული შინაარსით (საჩივარი) დოკუმენტების იდენტიფიცირება და სტატისტიკის წარმოება.[76] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება არ ხორციელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში,[77] რაც შეეხება უზენაეს სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა) საკასაციო საჩვრის საფუძველზე 2015 წელს განხილულია 1 საქმე, 2017 წელს - 2 საქმე[78] ხოლო 2018 წელს აღნიშნულ ფაქტზე არ ყოფილა არც ერთი საქმე განხილული.[79]

---

[75] იხ. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 23 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „როგორ დავიცვათ პირადი ცხოვრება?“ მოდერატორი თათული თოდუა. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/11/how_to_protect_personal_life.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[76] იხ. დანართი №4 შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი 2019 წლის 8 მაისის #MIA 9 19 01182471 წერილი

[77] იხ. დანართი №5 თბილისის სასამართლოდან მიღებული 2019 წლის 29 მარტის წერილი № 1-0476/2918794

[78] იხ.დანართი №6 საქართელოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის წერილი N 3-832-19

[79] იხ. დანართი№7 უზენაესი სასამართლოდან 2019 წლის 1 აპრილის წერილი № პ-721-19

3.5. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ფაქტების აღმოფხვრისთვის გატარებული ღონისძიებები (პრაქტიკა);

პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების ფაქტების აღმოფხვრისთვის გატარებული ღონისძიებების განხილვისას აუცილელად უნდა იქნეს განხილული სახალხო დამცველის ანგარიშებს სადაც უამრავი ინფორმაციაა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. 2016 წლის 11 და 14 მარტს, 12 აპრილსა და 12 ივნისს სოციალური ქსელებით გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების საქმეზე დაწყებული გამოძიება. დაწყებული გამოძიების ფარგლებში პროკურატურამ ჩაატარა არაერთი მოქმედება, სამართლებრივი დახმარება სთხოვა აშშ-ს კომპეტენტურ ორგანოებს და ბრალდებულად ცნო კონკრეტული პირები აღნიშნული ჩანაწერების დამზადებისა და შეძენა-შენახვის გამო. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დრომდე არ მომხდარა ჩანაწერების სავარაუდო გამავრცელებელთა იდენტიფიცირება, ხოლო რამდენიმე პირის მიმართ სასამართლო განხილვა კვლავ მიმდინარეობს. შესაბამისად, გამოძიება დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.[80]

2016 წლის 11 მარტიდან 13 ივნისამდე პერიოდში სხვადასხვა სოციალური ქსელებითა და ვებ–გვერდების მეშვეობით ინტენსიურად გავრცელებული სხვადასხვა პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით, რამაც საზოგადოების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. სწრაფი, ეფექტიანი და ამომწურავი გამოძიების ჩატარების მოთხოვნით საქართველოს სახალხო დამცველმა წამოიწყო კამპანია „წამზომი ჩართულია“. კამპანიის ფარგლებში გაკეთებული არაერთი საჯარო განცხადების მიზანი საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან ადეკვატური რეაგირება იყო.[81] საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიების ფარგლებში არაერთი მოქმედება ჩაატარა და პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების უკანონო

---

[80] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში გვ119
[81] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში გვ 405

მოპოვებისა და შენახვის ბრალდებით რამდენიმე პირი მისცა პასუხისგებაში. თუმცა, აღნიშნული მასალის გამავრცელებლის ვინაობა, საბოლოოდ, კვლავ უცნობია.[82]

2012 წელს შეიქმნა კამპანია "ეს შენ გეხება", რომელიც იყო საზოგადოებრივი ჯგუფების ინიციატივა და მიზნად ისახავდა, მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას. კამპანია ხელმეორედ განახლდა 2014 წელს ფარული მოსმენისა და მიყურადების წინააღმდეგ კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაცვლელად და მასშტაბური უკანონო მოსმენის პრაქტიკის დასასრულებლად. 2014 წლიდან EMC კამპანიის აქტიური წევრი და მხარდამჭერია.[83]

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვების აკრძალვისთვის გატარებული ღონისძიებიდან მნიშნელოვანია აღინიშნოს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ფარული მოსმენა-მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა, კერძოდ, არაკონსტიტუციურად ცნო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის ის ნაწილი რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული სახელმწიფო უწყების უფლებამოსილებას, ჰქონდეს საკომუნიკაციო ხაზებთან შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით პირდაპირი მიერთების შესაძლებლობა, რაც სახელმწიფო უფლებამოსილ ორგანოს, ერთი მხრივ, ანიჭებს განუზომელ და უკონტროლო დისკრეციას, საკუთარი შეხედულებისამებრ მოიპოვოს ამა თუ იმ პირების კომუნიკაციის შინაარსი, ხოლო, მეორე მხრივ,

[82] იხ.საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში იქვე გვ 405,406

[83] იხ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://emc.org.ge/ka/coalitions/es-shen-gekheba ბოლო განახლება 27/06/2019წ

გასაჩივრებული ნორმა ქმნის თვითნებობის საშუალებას, რაც კონსტიტუციით გარანტირებული პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას იწვევს.[84]

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოამზადეს და ხელისუფლებას წარუდგინეს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ კანონპროექტი, რომელიც შეიქმნა ცალკეული დასავლური სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით. კანონპროექტის თანახმად, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი გამიჯნულია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ვინაიდან იძიებს სწორედ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს. დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს ხელმძღვანელობს კომისარი, რომელსაც 3/5-ის უმრავლესობით, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესში ოპოზიციის მონაწილეობის შესაძლებლობას, ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

კანონპროექტის თანახმად, დამოკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს გააჩნია სრული უფლებამოსილება, გამოიძიოს ის დანაშაულები, რომელთა მიმართ ხელისუფლებას გააჩნია ინტერესები. ამავე დროს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ეფექტური მუშაობისათვის, აუცილებელია მას ჰქონდეს კონკრეტული პირებისათვის ბრალის წაყენების და მათ სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებისათვის მხარდაჭერის უფლებამოსილება. სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილების მინიჭებას მხარს არ უჭერს საქართველოს მთავრობა. ასევე, ამ უკანასკნელის პოზიციით, მექანიზმის მანდატი შემოფარგლული უნდა იყოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეების გამოძიებით. [85]

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით 2017 წლის 1 მარტს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში და მისი სამსახურეობრივი კონტროლის ქვეშ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების გატარების მიზნით, შეიქმნა სსიპ „საქართველოს ოპერატიულ–ტექნიკური სააგენტო“. უნდა აღინიშნოს რომ სააგენტოს ექნება

---

[84] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება

[85] იხ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://idfi.ge/ge/this-affects-you-campaign-requests-the-government-to-make-concrete-action-stepts ბოლო განახლება 27/06/2019წ.

დამოუკიდებლობის გარკვეული ელემენტები, თუმცა იგი რჩება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებას. ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ინსპექტორის უფლებამოსილება არ ვრცელდება „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016 კანონით განსაზღვრული მიზნებისათვის გატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების კონტროლსა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის აუდიტზე. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები არ შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და არ შეიძლება შეფასდეს ადამიანების პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევის მნიშვნელოვანი საფრთხის გამომრიცხავ გარანტიად. პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გავრცელების „ეპიდემიის“ შესაზღუდად საქართველოს პარლამენტმა გაამკაცრა პასუხისმგებლობა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფისთვის. ამ ცვლილების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 157[1] მუხლი, რომელიც კრძალავს პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფას. აღნიშნული დანაშაულისთვის მინიმალური პასუხისმგებლობის სახით 4 წლით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.[86]

პოლიტიკური დისკუსიების დროს ხშირად დგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლების მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა. განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა უფრო მეტად დახვეწა სტანდარტი და ეს არ არის საბოლოო წერტილი, იმიტომ რომ კიდევ ბევრი რამ არის შესაცვლელი და ამ თვალსაზრისით მუშაობა მიმდინარეობს. მუშაობა ამ უფლების პრიორიტეტულობის ხაზგასმის თვალსაზრისით არ ნელდება. ბევრი საჯარო და კერძო დაწესებულება აქტიურად ზრუნავს სტანდარტის დასანერგად. არაერთი საკანონმდებლო აქტი ჩასწორდა და პრაქტიკაც უმჯობესდება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდი ხანი

[86] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016 წ. გვ407, 408

არ არის, რაც გვაქვს ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობს კანონმდებლობის აღსრულებას აღნიშნული სფეროში[87] მნიშვნელოვან ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს 2018 წლის 21 ივლისს მიღებული კნონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, რომლითაც შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო და რომლის მიზანია, განახორციელოს: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი; ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის აპრილში საქართელოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანიჭებდა კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან ინფორმაციის მოპოვებისა და ამ მიზნით სათანადო აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსების შესაძლებლობას.[88] პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიშში მოცემულია „რომ მოქალაქეთა მომართვიანობისა და ჩატარებული შემოწმებების რაოდენობის ზრდის ფონზე, გასული 6 წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა სამართალდარღვევებისა და ჯარიმების რაოდენობის კლება. საჯარო სექტორში, მსხვილ და საშუალო ბიზნესში საგრძნობლად გაზრდილია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ინფორმირებულობის დონე, ასევე ინტერესი ინსპექტორის აპარატთან წინასწარი კონსულტაციების მიმართ. მნიშვნელოვანია მოქალაქეების აქტიურობის ზრდაც: 2018 წელს გაწეული 6100-ზე მეტი კონსულტაციიდან ძირითადი ნაწილი სწორედ მოქალაქეებზე მოდიოდა.“ [89] პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის

[87] იხ. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 23 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „როგორ დავიცვათ პირადი ცხოვრება?“ მომხსენებელი თამარ ქალდანი გვ. 6. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/11/how_to_protect_personal_life.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[88] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, თბილისი 2016, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, სტატიის ავტორები თამარ ქალდანი, ნინო სარიშვილი გვ 156,157,158

[89] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში გვ12.

შესახებ 2018 წლის ანგარიშში მოცემულია, რომ ინპექტორის აპარატი აქტიურად მუშაობდა მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაზეც, ჩატარდა არაერთი შეხვედრა, ღონისძიება და კამპანია, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით შექმნა ახალი ვებგვერდი, რომელიც ხელმისაწვდმია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისთვის, ასევე საქმის წარმოების პროგრამა, რომელზე დარეგისტრირების შემდეგ ინსპექტორის აპარატთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ერთ ონლაინ სივრცეშია შესაძლებელი. ინსპექტორი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო პლატფორმებსა და კონფერენციებში. ევროპელი ექსპერტების მონაწილეობით მომზადდა საკანონმდებლო წინადადებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე კანონის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასა და ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების ამაღლებას.[90] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს თანახმად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარება საქართველოში უკვე იშვიათად ხდება (დაახლოებით 4%), რაც მისასალმებელია. თუმცა, სამწუხაროა, რომ მთავარი პროკურატურა ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკურ აღრიცხვას არ აწარმოებს. სტატისტიკური ანალიზის გარეშე შეუძლებელია საუბარი იმაზე, სრულდება თუ არა კანონით გათვალისწინებული ზემოხსენებული ვალდებულებები, როგორიცაა ინფორმაციის

[90] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში გვ13,14. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://personaldata.ge/cdn/2019/03/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91-2018.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

შესაბამისი სუბიექტისთვის მიწოდება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაციის განადგურება, საგამოძიებო მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა და სხვა კანონისმიერი მოთხოვნები.[91]

3.6. პასუხისმგებლობა პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვებისათვის

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვებისთვის დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. სისხლის სამართლის კოდექსის 157-159 მუხლებშია მოცემული სასჯელები პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფის, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევისათვის.

სისხლის სამართლის 157ე მუხლში მოცემულია: პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. ამავე მუხლშია მოცემული სასჯელები აღნიშნული დანაშაულების დამამძიმებელი გარემოებებში ჩადენისათვის . [92]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2016 წლის 3 ივნისს დაემატა 157[1] მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ოთხიდან შვიდ წლამდე სასჯელს პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფისათვის. ამავე მუხლში ვხვდებით სასჯელებს მოცემული დანაშაულების დამამძიმებელ გარეომებებში ჩადენის შემთხვევებისთვის.[93] მნიშვნელოვანია ამ საკითხთან მიმართებაში ვიმსჯელოთ რამდენად პროპორციულია სისხლის სამართლის ეს სასჯელი, რადგან ე.ბ-ს საქმეზე გვქონდა შემთხვევა როდესაც 19 წლის გოგონას დაკავება მოხდა მეგობრებთან ამ

[91] იხ.საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში გვ122
[92] იხ. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 157
[93] იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 157[1]

ვიდეოს გადაგზავნის გამო, რეალურად რა თქმა უნდა მან დაარღვია კანონი, კანონის არ ცოდნა არ გვათავისუფლებს სასჯელისგან, საზოგადოების პროტესტი გამოიწვია ამის გამო გოგონას დაკავებამ, სოციალურ ქსელებში მათი დიდი ნაწილი წერდა რომ ეს ნორმა არის ზედმეტად მკაცრი და რომ ამის გამო 19 წლის გოგოს ციხეში ჩასმა არის უსამართლობა. ერთის მხრივ რა თქმა უნდა მე ვეთანხმები საზოგადოებას, შესაძლოა მართლაც ზედმეტად მკაცრია ეს სახდელი, თუმცა მეორე მხრივ გვაქვს მეორე ადამიანის შელახული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და გვაქვს ამ უფლების ხშირი დარღვევები, ვფიქრობ კანონის გამკაცრება ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის პრევენციას. რაც შეეხება იმის მტკიცებას არის თუ არა კანონი ამ შემთხვევაში ზედმეტად მკაცრი, ვეთანხმები ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებელი ბატონი პაპუნა ციმინტიას მოსაზრებას, რომელმაც საუბრისას განაცხადა, რომ დროის ფაქტორია რამდენად გაამართლებს აღნიშნული ნორმა.

სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს ასევე კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერას ან მიყურადებას, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვებას ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვას, აღნიშნული დანაშაულები გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლში ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

სისხლის სამართლით დასჯადია ასევე კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა. აღნიშნული ქმედებები ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. აღნიშნული ქმედებები გათვალისწინებულია სსსკ 159-ე მუხლში და ამავე მუხლშია

მოცემული ამ ქმედებების დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენის შემთხვევაში არსებული სასჯელები და ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შემთხვევაც.[94] პასუხისმგებლობა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროვებისათვის დგება ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7-ე თავით სადაც გაწერილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა აღნიშნული კანონის დარღვევისათვის. კერძოდ კანონში მოცემულია თითოეულ დარღვევაზე სანქციის სახით გაფრთხილება ან დაჯარიმება, ასევე სანქციის გაზრდა იმ პირთა მიმართ, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდათ ადმინისტრაციული სახდელი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7-ე თავით დადგენილი მუხლებით გათვალისწინებული დარღვევისათვის. ადამინისტრაციული ჯარიმები იწყება 100 ლარიდან და ადის 10000 ლარის ოდნობაზე. ამავე კანონის 55-ე მუხლის თანახმად აღნიშნული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი. „ [95]

მნიშვნელოვანია განხილული იქნეს რა შემთხვევაში ხდება სისხლის სამართლის ნორმების გამოყენება და რა შემთხვევაში დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მე-8 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არსებობა გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების უკანონო გავრცელების ყველა იმ ფაქტთან მიმართებით, რომლებთან დაკავშირებითაც შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაწყებულია/მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმების თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მოკლებულია რეაგირების

[94] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 159

[95] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-7 თავი

განხორციელების შესაძლებლობას.[96] სისხლის სამართალი გამოიყენება იმ შემთხვევაში როცა სახეზეა მნიშვნელოვანი ზიანი, გამიჯვნა მაინც ძნელია იმიტომ რომ ზიანი ნებისმიერ შემთხვევაში სახეზეა როდესაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები/ჩანაწერები ვრცელდება, თუკი შნაარსიდან გამომდინარე ეს კადრები ეხება გარკვეულწილად სენსიტიურ ინფორმაციას, პიროვნების ინტიმურ ცხოვრებას და სხვა მსგავს საკითხებს. თუ მაგალითად მეგობართან საუბარი, ან რაიმე სახის უმნიშვნელო საქმიანი საუბარი იქნება უნებართვოდ ჩაწერილი ამ შემთხვევაშიც იქნება ზიანი სახეზე, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლოა სადავო იყოს გამოყენებული უნდა იქნეს თ არა სისხლის სამართლის სასჯელი, მაგრამ, როდესაც ხდება ინტიმურ ცხოვრებაში ჩარევა, რასაც სამწუხაროდ ხშირად ვხვდებით ბოლო დროს, აქ უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების საკითხი და არც მოსამართლისთვის იქნება ძნელი დასადგენი იყო თუ არა პირადი ცხოვრების ხელყოფა. გერმანულ სამართალში არის ასეთი რამ, ადამიანის პირადი ცხოვრების ბირთვს უწოდებენ ადამიანის ინტიმურ ცხოვრებას და ხშირად ამბობენ რომ იქ სადაც არის ადამაინის პირადი ცხოვრების ბირთვი, იქ ამ უფლების შეზღუდვა არ შეიძლება, იმიტომ რომ პირდაპირ კავშირში არის ღირსებასთან. აქედან გამომდინარე როცა საქმე ეხება ღირსებას და ხდება პირადი ცხოვრების დარღვევა ამ კუთხით ის აუცილებლად უფრო ძლიერად უნდა იქნეს დაცული სახელმწიფოს მიერ.[97] 3.7. დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები და პირადი ცხოვრების ამსასველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის დაცვისთვის გასატარებელი ღონისძიებები.

3.7. დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები და პირადი ცხოვრების ამსასველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვების აკრძალვის დაცვისთვის გასატარებელი ღონისძიებები.

როგორც ნაშრომში ვისაუბრე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა რომელიც მოიცავს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვების

[96] იხ. დანართი № 1 სახალხო დამცველის აპარატში ჩემს მიერ გაგზავნილი 2019 წლის 28 მარტის №PDP 8 19 00001199 წერილის პასუხი

[97] იხ. ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელ ლიკა საჯაიასთან დანართი №3

აკრძავლის უფლებას არის ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ნაშრომში საუბარია ასევე აღნიშნული უფლების დაცვის მექანიზმეზე, მნიშვნელოვანია განხილული იქნეს როგორ ხდება დარღვეული უფლების აღდგენა, არსებობს თუ არა რაიმე სამართლებრივი მექანიზმი აღნიშნული დარღვეული უფლების აღსადგენად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე პუნქტში მოცემულია პირის უფლება სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე მუხლის მეხუთე პუნქტში მოცემულია რომ აღნიშნული უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. ამასთან პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება. (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო[98] აქედან გამომდინარე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვების აკრძალვის უფლება არის პირადი არაქონებრივი უფლება. არაქონებრივი (მორალური) ზიანი ნიშნავს ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების გამოწვევას, რომელიც სიმძიმის მიხედვით შეიძლება იყოს სულიერი (ზნეობრივი) ტკივილი (ტანჯვა) და სხვ. მაგალითად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ერთი მხრივ, პირის ღირსების დაცვის წინაპირობას შეიძლება წარმოადგენდეს, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებელია პირს აღნიშნულის საფუძველზე არაქონებრივი ზიანი მიადგეს.[99] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტში მოცემულია არაქონებრივი(მორალური) ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, კერძოდ მოცემულია, რომ არაქონებრივი სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. „ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია

[98] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხ.18

[99] იხ. მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები სერგი ჯორბენაძე ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015წ. გვ30. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/10/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-18.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ

მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც.“ მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. არაქონებრივი უფლებების დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურება უშუალოდ კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს, რაც არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსს, არამედ სხვადასხვა სამართლებრივ ნორმებს მოიცავს. არაქონებრივი უფლებების დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია, თუ დამტკიცდა უპირველეს ყოვლისა ის, რომ შელახულია პირის პიროვნული უფლებები. ასეთი შეიძლება იყოს ცილისწამება და სხვ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია მოსარჩელემ სწორად განსაზღვროს პასუხისმგებლობის სუბიექტი. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე თანამდებობის პირია, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, მაშინ ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ/პალატამ უნდა განიხილოს. კერძოდ, მოსარჩელის მიერ უნდა მოხდეს დიფერენცირება იმის თაობაზე, მოთხოვნას, კონკრეტული პირის, როგორც თანამდებობის პირის, თუ როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების გარეთ მოქმედი პირის მიმართ აყენებს.[100]

„სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ზიანის ანაზღაურების მექანიზმები ისეთი სავარაუდო დარღვევების დროს, რაც მოიცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ან მონაცემთა დაცვას, უნდა იყოს მარტივად გამოსაყენებელი, სწრაფი, ეფექტური, და შეესაბამებოდეს პროცესის სათანადო სტანდარტებს. ეფექტური სასამართლო ქმედებების გარდა შესაძლებელი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზიანის ანაზღაურების თვითრეგულირებადი ან მოხალისეობრივი მექანიზმები, დავების მოგვარების ალტერნატიული სქემები, როგორიცაა ომბუდსმენები ან არაფულადი საშუალებები. სასამართლოს ან ნებისმიერი დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სანქცია, რომელიც მიზნად ისახავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, ზიანის პროპორციული უნდა იყოს. სასამართლომ ან

[100] იხ. მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები სერგი ჯორბენაძე ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015 გვ.32 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/10/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-18.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ

ნებისმიერმა დამოუკიდებელმა სასამართლო ორგანომ უნდა განიხილოს, არის თუ არა განხილული საშუალება ყველაზე შესაფერისი პირადი ცხოვრებისხელშეუხებლობის ან მონაცემთა დაცვის დარღვევისას. ამავდროულად, უნდა მოხდეს გამოხატვის თავისუფლების სრული პატივისცემა. სასამართლომ ან ნებისმიერმა დამოუკიდებელმა სასამართლო ორგანომ უნდა განიხილოს, არის თუ არა არაფულადი საშუალებები, როგორიცაა ბოდიშის მოხდა, უარყოფა, შესწორება ან განცხადების გაკეთება, ან მათი კომბინაცია, უფრო პროპორციული საშუალება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ან მონაცემთა დაცვის დარღვევისას, ვიდრე სამოქალაქო ან კრიმინალური სანქცია. ინტერნეტთან დაკავშირებული საკითხებისას სასამართლომ ან ნებისმიერმა დამოუკიდებელმა სასამართლო ორგანომ უნდა განიხილოს, აქვს თუ არა შემთხვევას რეალური და არსებითი კავშირი იმ ქვეყანასთან, რომელშიც დაფუძნებულია სასამართლო და რამდენად შეუძლია მოსარჩელეს დაასაბუთოს, რომ მას მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი აღნიშნულ იურისდიქციაში."[101] საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლში მოცემულია, რომ „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან."[102]

„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის ლეგიტიმური მიზანი სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და უზრუნველყონ რომ: ა) საკანონმდებლო აქტებმა, რომელიც არეგულირებენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და შესაბამისი დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხებს, შესაძლებელია დააწესონ ლეგიტიმური შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლებაზე იმ შემთხვევაში თუკი შეზღუდვები არის გასაგები, განიმარტება ვიწროდ და მათ ჭეშმარიტ მიზანსა და მტკიცებად შედეგს წარმოადგენს ინდივიდთა

[101] იხ. გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გლობალური პრინციპები პოლიტიკის დოკუმენტი ორგანიზაცია „მე-19 მუხლი" პრინციპები ქართულად ითარგმნა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) მიერ. გვ.29-30. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/Article_19_Expression_and_Privacy_Principles.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

[102] იხ. საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 18.

დაცვა მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელ ადგილსა და კომუნიკაციაში უკანონო ჩარევისა და შეტევებისგან. ბ) კანონმდებლობამ, რომელიც იცავს ინდივიდებს მნიშვნელოვანი ზიანისგან, რაც მოიცავს თუმცა არ ამოიწურება იძულებით, ძალადობის მუქარით, პირადი სექსუალური შინაარსის მონაცემთა (ფოტო ან ვიდეო მასალის) მიზანმიმართული გავრცელებით და განსაჯაროებით, სენსიტიური პერსონალური მონაცემების (გარდა პირის სახელისა) და პირის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი ინფომრაციის მისი თანხმობის გარეშე გავრცელებით, შესაძლებელია დააწესოს ლეგიტიმური შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლებაზე. აღნიშნული შეზღუდვები უნდა იყოს ვიწროდ ჩამოყალიბებული, შეიცავდეს გამოხატვის თავისუფლების ინტერესების დაცვის შესაბამის მექანიზმებს და არ უნდა აწესებდეს არაპროპორციულ პასუხიმგებლობის ზომებს.“ [103] ზღვარი სად გადის, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია, კონკრეტული სიტუაციის მიხედვით უნდა გაეცეს პასუხი, მაგრამ ზოგადი შეფასებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ რის გამოც პირი მიიჩნევა საჯარო პირად, სწორედ იმ ფარგლებშია მიმართული მის მიმართ საზოგადოებრივი ყურადღება და იმ ნაწილში უნდა იყოს ინფორმაცია ღია და ხელმისაწვდომი და ყველა სხვა ნაწილში დაცული უნდა იყოს მაქსიმალურად. თუ პირი საჯარო მოსამსახურეა, მის საჯარო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს ჩვენთვის საინტერესო და არა მისი პირადი ოჯახური ცხოვრება. ჩვენ გვაინტერესებს მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები როგორი მმართველები არიან და არა როგორი მეოჯახეები. შეიძლება ცნობისმოყვარეობა გვამოძრავებდეს, მაგრამ როგორები არიან ოჯახის შიგნით, ეს ინფორმაცია დაცული უნდა იყოს.[104] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მიღწეული შედეგების მიუხედავად, მნიშვნელოვანია რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები დაიხვეწოს,

---

[103] იხ.გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გლობალური პრინციპები პოლიტიკის დოკუმენტი ორგანიზაცია „მე-19 მუხლი“ პრინციპები ქართულად ითარგმნა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ.გვ.12-13.ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/Article_19_Expression_and_Privacy_Principles.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

[104] იხ.ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 23 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „როგორ დავიცვათ პირადი ცხოვრება?“ მომხსენებელი გიორგი მშვენიერაძე გვ11,12. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/11/how_to_protect_personal_life.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

მონაცემთა სუბიექტს მიენიჭოს დამატებით უფლებები, დაინერგოს მონაცემთა უსაფრთხოების ეფექტიანი მექანიზმები, მონაცემთა უკანონო დამუშავებისათვის დაზუსტდეს პასუხისმგებლობის ღონისძიებები, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია მონაცემთა დამმუშავებლებს, მოქალაქეებსა და საზედამხედველო ორგანოებს შორის და ასევე განხორციელდეს ცვლილება მოანცემთა საერთაშორისო გადაცემის წესებში. აქედან გამომდინარე იკვეთება საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმის გაგრძელების საჭიროება.[105] პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიშში მოცემულია, რომ „მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად: სასურველია ორგანიზაციებმა შეიმუშაონ შიდა პოლიტიკის დოკუმენტი, რითაც განისაზღვრება მონაცემთა უსაფრთხოების საკითხები და არასანქცირებული წვდომის პრევენციის მექანიზმები; უზრუნველყონ დასაქმებული პირების ინფორმირება მონაცემთა უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით და საჭიროების შესაბამისად განსაზღვრონ მონაცემებთან მათი წვდომის დიფერენცირებული დონეები; თანამშრომლებს მონაცემთა ბაზებზე დაშვება მიანიჭონ მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელით/პაროლით ან/და გაპიროვნებული „დიჯიპაისის“ მეშვეობით; აღრიცხონ მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა ქმედება, რათა შესაძლებელი იყოს კონკრეტულ ქმედებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება“[106]

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვების აკრძავლის დაცვისთვის კარგი იქნება თუ გათვალისწინებული იქნება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციები, კერძოდ 2017 წლის ანგარიშში პროკურატურას ეძლევა შემდეგი სახის რეკომენდაციები: „პერიოდულად აცნობოს საზოგადოებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე დაწყებული გამოძიებების მიმდინარეობის პროგრესის შესახებ • დაიწყოს შემდეგი

[105] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, თბილისი 2016, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, სტატიის ავტორები თამარ ქალდანი, ნინო სარიშვილი გვ 162

[106] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში გვ32.

სტატისტიკური მონაცემების დამუშავება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მოქმედებებთან დაკავშირებით: o სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების სიხშირე; o ინფორმაციის შესაბამისი სუბიექტისთვის მიწოდების ვალდებულების შესრულება; o ინფორმაციის განადგურების ვალდებულების შესრულება; o კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების ვალდებულების შესრულება.“ [107]

თავი IV. ბალანსის დაცვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ადამიანის სხვა ძირითად უფლებებს შორის.

4.1. ბალანსის დაცვა გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის

აზრის გამოხატვის თავისუფლება განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. იგი არის დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი, რადგან ამ უფლების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებათა რეალიზაცია, ეს უფლება ასახულია ადამიანის უფლებათა შესახებ არსებულ ყველა ძირითად დოკუმენტში, მათ შორის არის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ის კონსტიტუციურადაა დაცული მთელ მსოფლიოში და მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ყველა სხვა უფლებასთან. გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. ის, ბევრ და მრავალფეროვან კომპონენტს შეიცავს. ეს კომპონენტებია: აზრის, იდეის, სიტყვის, მედიის, ინფორმაციის შეგროვების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებები, ჟურნალისტების დაცულობა და დამოუკიდებლობა, ისევე როგორც გამოხატვის ფორმის არჩევის თავისუფლება. გამოხატვის თავისუფლება ეხება არა მხოლოდ სიტყვას, არამედ მუსიკას, ქანდაკებას, თქვენ ვარცხნილობას და ჩაცმულობას მათ შორის . "[F] გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ფოტოების გამოქვეყნებას ... ეს არის ის სფერო,

[107] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში გვ123

რომელშიც სხვების უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც ფოტოებს შეიძლება ჰქონდეს ძალიან პირადი ან თუნდაც ინტიმური ინფორმაცია ინდივიდის ან მისი იოჯახის შესახებ ... "(von Hannover v. Germany (no. 2), დიდი პალატის გადაწყვეტილება 2012 წლის 7 თებერვალი, § 103)..[108]

ხანგრძლივმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში საჭიროა გამოხატვის თავისუფლების დაბალანსება სხვა უფლებებთან ან ინტერესებთან. გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვა არ უნდა მოხდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ხარჯზე. სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება თეორიულად არ ეწინააღმდეგება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც სიტყვის თავისუფლების არასწორ ინტერპრეტაციას ბოროტად იყებენ თავიანთი ამორალური აზრების გასამართლებლად.[109] როგორც ავღნიშნე აუცილებელია ბალანსი გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის თუმცა აღნიშნული უფლებები ურთიერთ აღსრულებადი ცნებებია, განსაკუთრებით კი მიმდინარე ციფრულ ეპოქაში. ორივე მათგანი წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების, მისი პროგრესისა და ყოველი ინდივიდის განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს. დემოკრატიის, ანგარიშვალდებულებისა და კარგი მმართველობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გამოხატვისა და აზრის თავისუფლების დაცვა და პატივისცემა. იგივე შეიძლება ითქვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, რომელიც თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფო და კორპორატიული ძალაუფლების წინააღმდეგ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. თუ გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი კულტურული გამოხატვისთვის, შემოქმედებითობა და ინოვაცია, ისევე როგორც თვითგამოხატვის გზით პიროვნული განვითარება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა აუცილებელია ინდივიდუალური ავტონომიის, საკუთარი თავის შეცნობისა და სხვებთან ურთიერთობის პროცესის ხელშეწყობისთვის პირადი

---

[108] იხ.europian court of human rights. Press unit. Right to the protection of one's image. January 2019 გვ1

[109] იხ. „სიტყვის თავისუფლება", 2017 წლის 26 თებერვლის ესე, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://pensemoshablemos.wordpress.com/2017/02/26/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94/ ბოლო განახლება 27/06/2019წ.

ცხოვრების ხელშეუხებლობა ასევე წარმოადგენს წინაპირობას გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის, განსაკუთრებით ონლაინ. პირადი ცხოვრების გარეშე ინდივიდებს წაერთმეოდათ სივრცე აზროვნებისთვის, მესამე პირთა ჩარევის გარეშე საკუთარი აზრის გამოხატვისთვის და საკუთარი ხმის გაჟღერებისთვის. გამოხატვის თავისუფლების გარეშე ინდივიდებს არ ექნებოდათ საკუთარი თავის შეცნობის შესაძლებლობა. აღნიშნული უფლებების დაცვის ცენტრში არის პიროვნების პატივისა და ღირსების, ისევე როგორც მისი შესაძლებლობის დაცვა და პატივისცემა, თავისუფლად დაამყაროს კომუნიკაცია სხვებთან. ამავდროულად კონკრეტული ინდივიდის გამოხატვის თავისუფლებამ შესაძლებელია შეზღუდოს სხვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პირიქით. აღნიშნულ დაპირისპირებას ამწვავებს ციფრული ტექნოლოგიები. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიები წარმოადგენენ ცენტრალურ ასპექტს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის ხელშეწყობისა და ინფორმაციის გაზიარებისთვის, ხსენებულმა ასევე მანამდე წარმოუდგენელი მასშტაბით გაზარდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შესაძლებლობები. კერძოდ, ციფრული ტექნოლოგიები წარმოადგენენ მნიშვნელოვან საფრთხეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მასთან დაკავშირებული უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფისთვის. პერსონალური მონაცემები სახელმწიფოებისა და კერძო კომპანიებისთვის მინიმალურ ფასად შესაძლებელია შეგროვდეს და წარმოუდგენელი მასშტაბით გახდეს ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის საზღვრებს მიღმა. ამავდროულად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სხვა მექანიზმებმა შესაძლებელია იქონიონ არაპროპორციული ეფექტი გამოხატვის თავისუფლებით ლეგიტიმურ სარგებლობაზე. მოცემული პრინციპები ჩამოყალიბდა გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთობლივი აღსრულების გზების შეფასების სისტემური ანალიტიკური ჩარჩოს წარმოდგენისა და აღნიშნულ უფლებებს შორის კონფლიქტის დროს მათი შეზღუდვის დასაშვები ფარგლების განსაზღვრისთვის, როგორც ინტერნეტში (ონლაინ) ისე ინტერნეტს მიღმა (offline). კერძოდ, აღნიშნული პრინციპები მიზნად ისახავენ ორივე ფუნდამენტური უფლების ეფექტური დაცვისა და პატივისცემის უზრუნველყოფას ციფრულ ეპოქაში.

როგორც ეს მოცემულ დოკუმენტში იქნება წარმოდგენილი, საერთაშორისო სამართალი მოიცავს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული დაპირისპირების აღმოფხვრას და ორივე უფლებით მაქსიმალურ სარგებლობას. დოკუმენტში განხილული პრინციპები გვთავაზობენ საერთაშორისო სამართლის პროგრესულ ინტერპრეტაციას და მიმოიხილავს ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოხატულ საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც დანერგილია სახელმწიფოების დონეზე. მათი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. მოცემული პრინციპები არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც გამომრიცხველი ან განმამტკიცებელი იმ შეზღუდვებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ სხვა უფლებების დაცვას - მათ შორის პატივისა და ღირსების დაცვას დეფამატორული კანონმდებლობის მეშვეობით - რომელიცსაჭიროებს განსხვავებულ მიდგომას და დარეგულირებულია პრინციპთა სრულიად განსხვავებული ნაკრებით.[110]

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის 10-ე (1) მუხლის პირველ ორ წინადადებაში ჩამოყალიბებულია აზრის გამოხატვის უფლების დაცვის გარანტიები და მექანიზმები: „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“. მაგრამ მეათე მუხლის მეორე ნაწილი გვიჩვენებს, რომ ეს უფლებები არ არის აბსოლუტური და შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს სხვა ინტერესებთან: „ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის,

[110] იხ.გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გლობალური პრინციპები პოლიტიკის დოკუმენტი ორგანიზაცია „მე-19 მუხლი“ გვ 2,3,4. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/Article_19_Expression_and_Privacy_Principles.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საქმე ორ ურთიერთდაპირისპირებულ პრინციპთან გვაქვს. პირიქით აყალიბებს გამოხატვის თავისუფლების ერთიან პრინციპს. ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლომ მე-10 მუხლთან დაკავშირებით განხილულ საქმეებზე შეიმუშავა ე.წ. სამწვერა ტესტი:

ა) ჩარევა განსაზღვრული უნდა იყოს კანონის მიერ;

ბ)ჩარევა მიმართული უნდა იყოს ერი ან რამდენიმე ინტერესისა და ფასეულობის დასაცავად: ეროვნული უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავის არიდება.

გ) ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ამ სამი მოთხოვნის არსებობა უნდა დაადგინონ ადგილობრივმა სასამართლოებმა. ევროკონვენციის მე-10 მუხლის სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია გამოხატვის თავისუფლების უფლების დაბალანსებისაკენ. კერძოდ, ეს შეეხება საზოგადოების უფლებას, ერთის მხრივ, იყოს ინფორმირებული, და, მეორეს მხრივ, დაიცვას კერძო პირთა რეპუტაცია, ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა.[111] არსებობს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო გადაწყვეტილებები სადაც არ დადასტურდა ევროკონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა ვინაიდან მისი შეზღუდვა იმ მომენტისთვის მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო პერსონალური მონაცემები[112] ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ზოგადად ინფორმაციის გავრცელებაში. ამავდროულად, ინტერნეტში შინაარსისა და კომუნიკაციის შედეგად

[111] იხ. მარიამ იზორია, გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრება. ბალანსი უფლებებს შორის. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://iz2100.wordpress.com/2017/11/18/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93/ ბოლო განახლება 27/06/2019წ

[112] იხ. eur. Court of HR, Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland, GRAND CHAMBER judgment Strasburg 27 June 2017, application no. 931/13, ხელმისაწვდომია https://lovdata.no/static/EMDN/emd-2013-000931-2.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

გამოწვეული ზიანის რისკი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების და სარგებლობის, განსაკუთრებით კერძო ცხოვრების პატივისცემის უფლების უფრო მაღალია, ვიდრე ტრადიციული პრესაში. ამ გზით დისკრიმინაციული და სხვა სახის აშკარად უკანონო სიტყვის, მათ შორის სიძულვილის ენისა და სიტყვის ძალადობის წამოწყება, შეიძლება მთელს მსოფლიოში გავრცელდეს და ზოგჯერ ზოგჯერ დარჩეს მუდმივად ხელმისაწვდომი ონლაინ რეჟიმში. ამიტომ, იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის ძირითადი ღირებულებების დაცვა და კონვენციის მე -10 მუხლით (გამოხატვის თავისუფლება) და მე -8 (პირადი ცხოვრების პატივისცემა) მუხლით გათვალისწინებული უფლებები იმსახურებს თანაბარი პატივისცემას. ზოგიერთ შემთხვევაში ორივე უფლების არსი რომ იქნეს დაცული, მაშინ ბალანსი უნდა დაირღვეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, სახელმწიფო ორგანოების ან კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ ინტერნეტის შინაარსის დაბლოკვა, გაფილტვრა ან ამოღება ან სახელმწიფო ორგანოების მიერ ამგვარი ქმედების განხორციელების ნებისმიერი მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე -10 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს . მათ უნდა განისაზღვონ კანონი, რომელიც ხელმისაწვდომი, ნათელი, ცალსახა და საკმარისად ზუსტია იმისათვის, რომ ადამიანებმა შეძლონ თავიანთი ქცევის რეგულირება. ეს ამავე დროს, აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისი განხორციელება უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.[113]

პირადი ცხოვრების საიდუმლოება არის კერძო პირის პერსონალური მონაცემები. მართალია, ინფორმაციის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების არსიდან გამომდინარე, საჯარო ინტერესის შემთხვევაში, მონაცემების გასაჯაროება დასაშვებია, თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, კერძო პირის პირადი მონაცემები ამგვარ ფარგლებში არ ექცევა. აღნიშნული გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოება ისეთი სახის ცხოვრებისეულ მომენტებს მოიცავს, რომელიც მართალია რეალურად მოხდა, მაგრამ ინდივიდს მისი გასაჯაროება არ სურდა. პირად სფეროში ჩარევას უნდა გააჩნდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული მიზანი.

[113] იხ. Thematic factsheet1 Update: June 2018 .FREEDOM OF EXPRESSION, THE INTERNET AND NEW TECHNOLOGIES გვ 1 და გვ 12 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://rm.coe.int/freedom-of-expression-internet-and-new-technologies-14june2018-docx/16808b3530 ბოლო განახლება 27/06/2019წ.

რამდენადაა ასეთი სახის მიზანი გამართლებული მაშინ, როდესაც ფარული ჩანაწერი სასამართლოს მიერ მტკიცებულებად შეიძლება იქნეს მიღებული, ცალკე განხილვის თემაა, თუმცა საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებობს ამგვარი ჩანაწერის მტკიცებულებად მიღების პრაქტიკა, რაზე დაყრდნობითაც ახდენს სასამართლო მსჯელობას.[114]

Cengiz and Others v. Turkey (ganacxadi N48226/10; 14027/11; 01/12/2015) საქმე ეხებოდა youtube-ის საიტის დაბლოკვას, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები აგზავნიან, უყურებენ და აზიარებენ ვიდეოებს. მომჩივნები დავობდნენ ინფორმაციისა და მოსაზრების მიღებისა და გავრცელების თავისუფლების დარღვევის შესახებ. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება), ასევე დაასკვნა, რომ youtube-ი იყო ერთი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა სამოქალაქო ჟურნალისტიკის წარმოშობასა და კონკრეტული სახის ინფორმაციის გადაცემას, განსაკუთრებით პოლიტიკურ და სოციალურ საკითებზე. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით დასძინა, რომ კანონმდებლობაში არ არსებობდა ისეთი დებულება, რომელიც საშუალებას მისცემდა ეროვნულ სასამართლოებს ინტერნეტზე წვდომის ბლოკირების საერთო ბრძანება გაეცა, ხოლო აღნიშნულ შემთხვევაში კი - მის რომელიმე შინაარსთან მიმართებით[115] უზბეკეთის სასამართლომ ცალსახად განაცხადა(Pakistan Muslim League v. Federation of Pakistan (PLD 2007 SC 642)) იმისათვის რომ აღმასრულებლის ქმედება იყოს კანონიერი აუცილებელია, რომ არ დაირღვეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, განსაკუთრებით შემედგი პირობები: ნებისმიერი მოქალაქეების უფლებების დარღვევა არ აქვს მნიშვნელობა კერძო პირია თუ საჯარო თანამდებობის პირი ან ორგანო, უნდა იყოს დასაბუთებული შესაბამისი ქვეყნის რომელიმე კანონით. აქედან გამომდინარე, ქმედება აუცილებლად უნდა იყოს ისეთი, რომ მას არ შეეძლოს ფუნდამენტური უფლება დაარღვიოს. ეჭვგარეშეა, რომ გონივრული შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს,

---

[114] იხ.მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორი სერგი ჯორბენაძე ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015 გვ.16. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/10/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-18.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

[115] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი.საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი თილისი 2016წ. გვ 45

მაგრამ ეს არ ნიშნავს ძალაუფლების თვითნებურ განხორციელებას.[116] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტში საუბარია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების დაცვა: „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.“ თუმცა ამავე მუხლში მოცემულია აღნიშნული უფლების შეზღუდვა: „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“ აღნიშნული შეზღუდვა ემსახურება სწორედ ბალანსის შენარჩუნებას გამოხატვის თავისუფლებასა და ადამიანის სხვა ძირითად უფლებებს შორის, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და გამოხატვის თავისუფლებას შორის. [117]

„სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი უნდა განიხილებოდეს სისტემურად. აუცილებელია უპირველეს ყოვლისა, მხედვლობაში იქნეს მიღებული კონსტიტუციით დადგენილი დაცვის სტანდარტი, ხოლო უკეთესი დაცვისა და კონსტიტუციური დაცვის გასაძლიერებლად - საერთაშორისო აქტები და ვალდებულებები. კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის დაცვის სტანდარტის დამცირების თავიდან ასაცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამართლის წყაროთა და სამართლებრივ ღირებულებათა იერარქია. ასევე ზოგჯერ ძალაუნებურად მაინც წარმოიშობა ღირებულებათა კონფლიქტი. ის გულისხმობს აწონ-დაწონვის შედეგად პრიორიტეტული ინტერესის გამოკვეთას და ერთ-ერთი ინტერესის მსხვერპლად შეწირვას გაცილებით რელევანტური ინტერესის დასაცავად. ამდენად, მაქსიმალური სიფრთხილითა და სიღრმისეული ანალიზის შეგედად უნდა იქნეს საკითხი შესწავლილი, რათა გამოირიცხოს თავისუფლებათა „მსხვერპლთშეწირვა.“ ამ

[116] იხ. Why the YouTube Ban is Illegal &Undesirable By Babar Sattar, გვ.3, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://bolobhi.org/wp-content/uploads/2014/03/Babar-Sattars-Legal-Note.pdf ბოლო განახლება 27/06/2019

[117] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 17-ე მუხლი

შემთხვევაში კონფლიქტი უნდა გადაწყდეს თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით აწონ-დაწონვის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული კი შეფასებითია და ინდივიდუალურ გარემოებებზეა დამოკიდებული. მაგრამ ნებისმიერ პირთან დაკავშირებით ინტიმური სფეროს დაცვა არის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული, ვიდრე სხვა ინტერესის უზრუნველყოფა, პირადი ცხოვრების დაცვის უფლება საერთო წესრიგის ნაწილია. თუ ამ წესრიგს ემუქრება საფრთხე ერთი ინტერესისთვის პრიორიტეტის მინიჭებით მეორის ხარჯზე, მაშინ ასეთი უპირატესობა მიუღებელია. მაშასადამე, პირადი სფეროს დაცვა სამართლებრივი წესრიგის ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს, რაც, თავის მხრივ ურთიერთობათა დაბალანსებას შეუწყობს ხელს.“ [118]

4.2. ბალანსის დაცვა ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის.

ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძირითადი უფლებაა ასევე ინფორმაციის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობა სათავეს შვედეთში იღებს, სადაც მსოფლიოში პირველი ინფორმაციის თავისუფლების აქტი 1766 წელს იქნა მიღებული. დღეს, ამ თარიღიდან დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ, ინფორმაციის თავისუფლება მსოფლიოს ყველა კონტინენტზე აღიარებულია ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად, მათ შორის გაეროს, ევროპის საბჭოს, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და აფრიკული კავშირის მიერ. თუმცა, ამ საყოველთაო აღიარებამდე, ცალკეულ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მრავალი ეტაპის გავლა დასჭირდათ.[119] 1948 წელს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო

---

[118] იხ. მიხეილ ბიჭია,პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით თბილისი 2012წ. გვ229, გვ.230, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/mixeil_bichia.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ

[119] იხ.ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი შედარებითი ანალიზი, კვლევის ავტორი: ელისო ჩაბრავა რედაქტორი: გიორგი კლდიაშვილი. 2012წ. გვ5. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%a4%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1%20%e1%83%97%e1%83%90%e1%83%95%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a3%e1%83%a4%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%20%e1%83%99%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%9b%e1%83%93%e1%83%94%e1%83%91%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%90%20%e1%83%93%e1%83%90%20%e1%83%9e%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

დეკლარაციის მე-19 მუხლში, ინფორმაციის მიღების უფლება შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად, ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვან დოკუმენტად ითვლება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, აღნიშნული დოკუმენტის მე-19 მუხლში ნათქვამია: „თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით.“[120] გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტების გარდა, ინფორმაციის უფლება რეგიონალურ კონვენციებშიც აისახა. მაგალითისათვის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის უფლებას. კონვენციის მე-10-ე მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრებს მიუხედავად“. აღნიშნულ დოკუმენტებში, ინფორმაციის მიღების უფლება განიხილება, როგორც აზრისა და გამოხატვის უფლების ნაწილი. თუმცა, პრაქტიკაში, მას უფრო ფართო განმარტება მიეცა და ინფორმაციის თავისუფლება აღიარებულ იქნა ცალკე მდგომ უფლებად.[121] ქართულ კანონმდებლობაში აღნიშნული უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17

---

[120] იხ.ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი შედარებითი ანალიზი, კვლევის ავტორი: ელისო ჩაბრავა რედაქტორი: გიორგი კლდიაშვილი. 2012წ. გვ5. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%a4%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1%20%e1%83%97%e1%83%90%e1%83%95%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a3%e1%83%a4%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%20%e1%83%99%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%9b%e1%83%93%e1%83%94%e1%83%91%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%90%20%e1%83%93%e1%83%90%20%e1%83%9e%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

[121] იხ.იქვე გვ 6, გვ 8.

მუხლში, სადაც სხვადასხვა პუნქტშია მოცემული გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის მიღების თავისუფლება. უფრო კონკრეტულად აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია...“ კონსტიტუციის მე-17 მუხლით განმტკიცებული უფლებები რა თქმა უნდა არ არის შეუზღუდავი, ამავე მუხლის მე-5-ე პუნქტი გვეუბნება რა შემთხვევაშია დაშვებული ამ უფლების შეზღუდვა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად.[122]

კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია განხილული იქნეს ამ უფლების გამოყენების ფარგლები რათა არ მოხდეს ადამიანის სხვა ძირითადი უფლების შეზღუდვა ამ უფლების გამოყენების ხარჯზე, ამ შემთხვევაში განვიხილავ ამ უფლების მიმართებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ინფორმაციის თავისუფლების უფლება ისე რომ არ შეიზღუდოს ადამიანის მეორე ძირითადი უფლება ამ შემთხვევაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.[123]

ინფორმაციის თავისუფალი მოპოვების უფლების პარალელურად არ უნდა დაგვავიწყდეს რომ სახელმწიფოს ან მესამე პირის მიერ პირადი ინფორმაციის შეგროვება ითვლება პირადი ცხოვრების არეალში შეჭრად. აქედან გამომდინარე აუცილებელია იქნეს დაცული ბალანსი ამ ორ უფლებას შორის. პირადი კომუნიკაციის დარღვევა ამ კომუნიკაციის შინაარსის მიუხედავად ასევე ხვდება მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში. სახელმწიფო ორგანოში შენახულ საკუთარ პირად მონაცემებზე ხელმისაწვდომობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილია. პირადი ცხოვრების არეალში ხვდება ადამიანის სქესობრივი ცხოვრებაც და დაცულია ევროკონვენციის მე-8

[122] იხ.საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 17
[123] იხ.საქართველოს კონსტიტუცია მე17 მუხლი

მუხლის ფარგლებში. სახელმწიფო ორგანოში შენახულ საკუთარ პირად მონაცემებზე ხელმისაწვდომობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილია. პირადი ცხოვრების არეალში ხვდება ადამიანის სქესობრივი ცხოვრება და ასევე დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით. სქესობრივი ურთიერთობები, მათ შორის ორიენტაცია, პირის ინტიმურ სამყაროს წამრმოადგენს და მასში ჩარევა უფლების დარღვევად ითვლება. ევროსასამართლოს მართლმსაჯულებამ მე-8 მუხლის დაცვის სფეროში მოაქცია ასევე ადამიანის სახელი და გვარი, სხვა სახის პირის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, ასევე პირის სურვილის შემთხვევაში სქესის შეცვლის შემდგომ გასაიდუმლოებას ექვემდებარება ძველი პირადობის მოწმობა[124] დადგენილებაში „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებაში ცალკე თავად არის მოცემული მეათე თავში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, კონკრეტულად 34-ე მუხლში მოცემულია, რომ მაუწყებელმა პროგრამების მომზადებისას და მათი ეთერში გაშვებისას არ უნდა დაუშვას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა. მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის. აღნიშნულ თავში ასევე მოცემულია მაუწყებლის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები). აღნიშნული წესები გარკვეულწილად უზრუნველყოფს რომ დაცული იყოს მაუწყებლობების მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და დაცული იქნეს ბალანსი გამოხატვის სიტყვის და ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას[125] როგორც ავღნიშნე მკაცრად პირადული საკითხების გაშუქებით ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლება, თუ არ მოხდა შესაბამისი პირის თანხმობის მოპოვება, ან თუ გაშუქება საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში არ ექცევა. რაც უფრო ინტიმურია პირადი ცხოვრების გაშუქებული ასპექტი, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს დასაბუთება. ზოგადი წესია, რომ პირადი ინფორმაცია არ უნდა გასაჯაროვდეს შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე.

[124] იხ.პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მაიკო ოქრუაშვილი 2008წ გვ 48

[125] იხ.„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილება Xთავი

თანხმობა მნიშვნელოვანი ელემენტია, იმის დადგენისას, პირადი ცხოვრების დეტალის გამოქვეყნება არღვევს თუ არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. თუმცა, შესაძლებელია პირების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება თანხმობის გარეშე უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას, ე.ი., ინფორმაციის გამჟღავნება გამართლებულია საზოგადო ინტერესით ან მოსაზრებით, რაც მიიჩნევა, რომ აღემატება შესაბამისი პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოსაზრებას. ამდენად, საზოგადოებრივი ინტერესის პრინციპი შეიძლება წარმოადგენდეს „ალტერნატიულ დასაბუთებას“ გამოქვეყნებისათვის.[126]

პოლიტიკოსები წარმოადგენენ საჯარო პირებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ყველაზე დაბალი მოლოდინი. საჯარო ფუნქციის განხორციელება ან პოლიტიკური თანამდებობის დაკავების სურვილი (გარდაცვალების შემდეგაც) პიროვნებას აუცილებლად აქცევს საზოგადოების ყურადღების არეალში, მათ შორის მრავალ სფეროში, რომელიც პიროვნების პირად ცხოვრებას ეხება. საქმეზე Editions Plon v. France, ჟურნალისტმა და საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი მიტერანის ყოფილმა პირადმა ექიმმა დაწერა წიგნი, სადაც აღწერა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. პრეზიდენტის მემკვიდრეებმა საქმე აღძრეს სასამართლოში და მოითხოვდნენ წიგნის შემდგომი გავრცელების აკრძალვას, იმაზე მოხმობით, რომ მან დაარღვია ყოფილი პრეზიდენტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ჩაერია ყოფილი პრეზიდენტის ქვრივისა და ბავშვების პირად ცხოვრებაში და გრძნობებში. თუმცა, სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა ჟურნალისტის და ექიმის სასარგებლოდ, დაადგინა რა, რომ იმ პრეზიდენტის ისტორიის გარშემო მსჯელობა, რომელიც ორი ვადით იყო პრეზიდენტი, წარმოადგენდა საზოგადოებრივ ინტერესს, ამასთან ჟურნალისტებმა პატივი უნდა სცენ საჯარო პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლიან მოლოდინს, აღნიშნული პირების წმინდა კერძო აქტივობებისას, როგორიცაა სპორტი, სეირნობა, რესტორნიდან გამოსვლა ან შვეულების პერიოდი ან ინტიმური

[126] იხ.მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები გვ 11 გვ12. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838 ბოლო განახლება 28/06/2019წ

ურთიერთობები (ოჯახური პრობლემები, ქორწინების გარეშე ურთიერთობები), თუ აღნიშნულ გაშუქებას წვლილი არ შეაქვს საზოგადოებრივი ინტერესის საგანში. [127]

პრესის მხრიდან განხორციელებული შეჭრის შედეგად იმის განსაზღვრისას უნდა წამოიწიოს თუ არა პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები წინ, ყურადღება უნდა მიექცეს პირის მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ საკითხებს და ამ საკითხების მოცულობას, პირადი ცხოვრების სფეროში შეჭრის ხასიათს, ასევე ხარისხს და ეფექტიანი და ჯეროვანი ანაზღაურების მისაღებად შიდასახელმწიფოებრივი მიმართვის მრავალნაირი საშუალებების არსებობას.[128] ინფორმციის მიღების თავისუფლება მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეათე მუხლში სადაც წერია რომ „ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები," თუმცა აქვეა დათქმა რომ აღნიშნული ინფორმაციის და ასლების მიღება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი „თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს." აღნიშნული მუხლში ნათლად ჩანს რომ ინფორმაციის მიღების თავისუფლების ფარგლები ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებამდე და რომ ინფორმაციის მიღების თავისუფლება არ უნდა არღვევდეს პერსონალური მონაცემების დაცვის თავისუფლებას.[129] ბალანსის დაცვა გულისხმობს იმას, რომ მედიამ შეძლოს სწორი შუალედის პოვნა ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს შორის, როგორიცაა, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლება და საზოგადოების ინფორმირება და, მეორე მხრივ, მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ბალანსის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ინტერნეტისა და სოციალური ქსელების ეპოქაში, იმ პირობებში, როდესაც ინფორმაციის გავრცელების მასშტაბები და სისწრაფე ინდივიდების პირადი ცხოვრების დაცვის კუთხით სერიოზული გამოწვევაა. საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ არ არეგულირებს

[127] იხ. მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები გვ.15 და გვ.16. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838 ბოლო განახლება 28/06/2019წ

[128] იხ. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ადამ111იანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 უხლის განხორციელება. გზამკვლევი გვ56,57,59. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/article8.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

[129] იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლი

მედიის საქმიანობას და ევროსაბჭოს ექსპერტებთან ერთად სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების შემთხვევაში ამ დოკუმენტსაც ცალსახად სარეკომენდაციო ხასიათი ექნება. [130]

დასკვნა-ძირითადი მიგნებები

პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების/კადრების გასაჯაროვებით ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რაც თავის მხრივ იწვევს ნაშრომში მოყვანილი სხვადსხვა სამართლებრივი ნორმების დარღვევას. აღნიშნული კუთხით, მიუხედავად მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმებისა, მაინც ვხვდებით უამრავ პრობლემატურ საკითხს. ფარული თვალთვალის, მიყურადების, მოსმენის, ტექნიკური თვალსაზრისით მოდერნიზებული საბჭოთა სისტემების გამოყენებას ვერ ელევა ჩვენი სახელმწიფო, და დღის წესრიგში სვამს საკითხს, რა უფრო მნიშვნელოვანია, დაცული იქნეს ადამიანის უფლებები, რომელიც განყენებული კატეგორიაა თუ გადარჩეს სახელმწიფო? აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს დამფუძნებელი პრინციპი, რომ სახელმწიფო არ არსებობს, თუ არ არსებობს თავისუფალი მოქალაქე, მოქალაქე, რომელსაც აქვს უფლებები, რომელიც უნდა იყოს დაცული, იმისათვის რომ შედგეს სახელმწიფო. [131]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირველ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფუნდამენტურ არსს არღვევს სახელმწიფო თუ კერძო პირთა მიერ ციფრული და ტრადიციული კომუნიკაციის საშუალებით გაცვლილ მონაცემთა საყოველთაო და არამიზნობრივი შეგროვება, შენახვა და ანალიზი კონკრეტული გონივრული ეჭვის არსებობის გარეშე („მასობრივი მიყურადება“). აღნიშნული ყალიბდება ინფომრაციის მოძიების, მისდამი წვდომის მიღებისა და ონლაინ გავრცელების პროცესში. მასობრივი მიყურადება, როგორც ასეთი ყოველთვის

---

[130] იხ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://personaldata.ge/ka/press/post/3544 2016-12-13 14:49:08, ბოლო განახლება 27/06/2019წ.

[131] იხ.ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 23 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „როგორ დავიცვათ პირადი ცხოვრება?“ მომხსენებელი გიორგი მშვენიერაძე გვ.15. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/11/how_to_protect_personal_life.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

წარმოადგენს არაპროპორციულ ჩარევას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციის თავისუფლებაში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომუნიკაციის მიყურადებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და პროცედურები თანხვედრაში იყოს ონლაინ კომუნიკაციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო პრინციპებთან.[132]

პრობლემას წარმოადგენს ასევე „მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა," ანუ მოსმენების სისტემა, რომელიც მთლიანად სუს-ის(სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) მმართველობის სფეროში არსებულ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ხელშია. მას აქვს პირდაპირი მიერთება ნებისმიერ მობილურ კომპანიასთან და იქიდან ისე მოაქვს ინფორმაცია რომ ოპერატორმა არაფერი იცის, ეს მახინჯი სისტემა წერია პირდაპირ კანონში. არის ორნაირი მონაცემი: პირველი არის ე.წ. META DATA იგივე მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, რომელიც მოიცავს შემდეგს: ვისთან რეკავთ, რამდენი ხანი საუბრობთ და სად ხართ საუბრის დროს. სუს-ს აქვს ინფორმაცია როდის სად იმყოფებით თუ თქვენ გაქვთ მობილური ტელეფონი. ინტერნეტის შემთხვევაში აქვს ინფორმაცია რომელ ვებ გვერდზე შეხვედით, რამდენი ხანი დაყავით კონკრეტულ ვებ გვერდზე და რა ადგილიდან შეხვედით, ეს META DATA სუს-ს მოაქვს აბსოლიტურად ყველა ადამიანზე და ინახავს 2 წლის განმავლობაში მონაცემთა ბანკებში. შემდეგ, მას აღნიშნული ინფორმაციის გამოყება შეუძლია როგორც სამართლებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ასევე პირადი ინტერესებისთვის, მაგალითად შანტაჟისთვის, როგორც მაკომპრომატირებელი მასალა, რადგან არ ყავს მაკონტროლებელი და მისი კონტროლი არის აბსოლიტურად ფორმალური. სამართლებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ფარული მიყურადება, რომელსაც სჭირდება მოსამართლის ნებართვა არ წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის რისკფაქტორს, მაგრამ მთავარ რისკს წარმოადგენს ის, რომ ამ გადაწყვეტილების გარეშე მოსმენის შესაძლებლობა არსებობს. საუბრის

---

[132] იხ. გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გლობალური პრინციპები პოლიტიკის დოკუმენტი ორგანიზაცია „მე-19 მუხლი" პრინციპები ქართულად ითარგმნა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI) მიერ. გვ.13. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/Article_19_Expression_and_Privacy_Principles.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

შინაარსის მოსმენოსთვის მას სჭირდება სასამართლო ნებართვა, თუმცა ამ ნებართვას იგი ოპერატორს კი არ წარუდგენს არამედ საკუთარ თავს, ანუ ფაქტიურად თავად შეუძლია ჩართოს და გამორთოს პირი მოსმენიდან. ეს ყველაფერი მჭიდრო კავშირშია ვიდეო გადაღებებთან, იმიტომ რომ ამ სისტემის მეშვეობით ისინი იღებენ სრულ ინფორმაციას პიროვნების პირად ცხოვრებაზე და შესაბამისად უადვილდებათ დაგეგმონ ფარული ვიდეო გადაღება. აღნიშნული სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მოწესრიგების გარეშე , კანონის დონეზეც არ გვექნება დაცვა და ყოველთვის ვიდგებით პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის საფრთხის წინაშე.[133]

სისტემური პრობლემის გადაჭრის გზა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იქნება ის, რომ გათვალისწინებული იქნეს სხვა განვითარებული ქვეყნების აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი კანონის მოდელი და პრაქტიკა, სადაც ბრალდებულის ან დამნაშავის მოსასმენად საჭიროა სასამართლოში წასვლა განჩინების ასაღებად, რომელშიც მიეთითება რომელ პირს უსმენ, რამდენი საათი და ამ განჩინების წარდგენის აუცილებლობა ოპერატორთან და არა საკუთარ თავთან. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონშიც უნდა შევიდეს ცვლილება და აღნიშნული განჩინების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან გადაგზავნის შემდეგ მას უნდა დაევალოს არა საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, არამედ სავალდებულო წესით ყოველი ასეთი საქმის დროს სიტუაციის შემოწმება, კერძოდ ოპერატორმა რამდენად სწორად ჩართო მოსმენაზე ესა თუ ის პიროვნება, ტექნიკურ აღჭურვილობის შემოწმებით დაადგინოს ეს აღჭურვილობა ხომ არ იძლევა იმის საშუალებას რომ უფლებამოსილება ბოროტად იქნეს გამოყენებული ოპერატორის მიერ, შეამოწმოს ოპერატორის მოანცემები, იმ სტრუქტურის მონაცემები რომელიც ატარებს მოსმენას. ზედამხედველობა გაუწიოს რა შემთხვევებში იქნება გამოყენებული მოსმენილი მასალა და ჩანაწერი და იქნება თუ არა წაშლილი იმ შემთხვევაში თუ არ იქნება საჭირო გამოძიებისთვის ან უკვე არასასარგებლო გამოძიების რაღაც ეტაპზე. აღნიშნული ფუნქციები კანონში დეტარლურად

[133] იხ. ინტერვიუ ლიკა საჯაიასთან დანართი №3

ჩამოყალიბება მოგვცემს იმის გარანტიას საბოლოო ჯამში რომ ადამიანის უფლება ნაკლებად იქნება დარღვეული.[134]

პრობლემატური საკითხია ასევე პირად მონაცემთა დამუშავება, რომელიც მრავალ სპექტრს მოიცავს და ამასთანავე, არ არის გამოყოფილი მათი დაცვის დონე - ანუ კანონმდებლობა, მათ მიიჩნევს ერთ დონეზე დაცვის ღირსად. არ არის გამოკვეთილი, თუ, რომელი უფრო პრიორეტულია, რაც თავის მხრივ, უკვე წარმოადგენს პრობლემას. მაგ. ინფორმაციის შეგროვებასა და გავრცელებას შორის არ არის განსხვება, პრიორიტეტულობის მხრივ. მართალია, მონაცემების შეგროვების პროცესშიც შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებები, მაგრამ ზოგადად, მონაცემების/ინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება უფრო ხელყოს ადამიანის უფლებები. ამიტომ ეს უკანასკნელი, უფრო მეტად უნდა იყოს.[135]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მიღწეული შედეგების მიუხედავად, მნიშვნელოვანია რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები დაიხვეწოს, მონაცემთა სუბიექტს მიენიჭოს დამატებით უფლებები, დაინერგოს მონაცემთა უსაფრთხოების ეფექტიანი მექანიზმები, მონაცემთა უკანონო დამუშავებისათვის დაზუსტდეს პასუხისმგებლობის ღონისძიებები, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია მონაცემთა დამმუშავებლებს, მოქალაქეებსა და საზედამხედველო ორგანოებს შორის და ასევე განხორციელდეს ცვლილება მოანცემთა საერთაშორისო გადაცემის წესებში. აქედან გამომდინარე იკვეთება საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმის გაგრძელების საჭიროება. [136]

კიდევ ერთი პრობლემა არის კანონის აღსრულება და ეს პრობლემა შესაძლოა გამოწვეული იყოს პოლიტიკური ნებით ან პროფესიონალიზმით. აღნინული დანაშაულების გამოძიება ან არ ხერხდება ან ვერ ხერხდება პოლიტიკური ნების ან/და

---

[134] იხ. ინტერვიუ ლიკა საჯაიასთან. დანართი №3

[135] დაცული. იხ. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები ლევან ჯგერენაია თბილისი 2012 წ გვ.10. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://library.court.ge/upload/2962013-03-29.pdf ბოლო ოგანახლება 28/06/2019წ.

[136] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, თბილისი 2016, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, სტატიის ავტორები თამარ ქალდანი, ნინო სარიშვილი გვ 162

პროფესიონალიზმის არ ქონის გამო. მართალია ხდება უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერების/კადრების გამავრცელებელი პირების დასჯა მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ვერ ხერხდება პირველ წაყროს პოვნა და დასჯა. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა რომ ბოლო პერიოდებში უკანონოდ მოპოვებულ და გასაჯაროვებულ ვიოდეო და აუდიო ჩანაწერების გავრცელება სწორედ რომ პოლიტიკური შანტაჟია, შესაბამისად არ არსებობს პოლიტიკური ნება იმისა, რომ მოხდეს აღნიშნული საქმეების ბოლომდე გამოძიება. უკანასკნელ შემთხვევაში ვფქირობ ერთადერთი გამოსავალი იქნება ჩაიწეროს კანონში ის, რომ თუ კი სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს პიროვნების ძირითადი უფლების(ამ შემთხვევაში პირადი ცხოვრეიბის ხელშეუხებლობა) დაცვას და შემდგომში ამ დარღვეული უფლების აღდგენას, ვალდებული უნდა იყოს რომ ფულადი კომპენსაციის სახით მაინც აღუდგინოს ამ პიროვნებას ეს დარღვეული უფლება, რათა არ გაჩნდეს საზოგადოებაში უსამართლობის განცდა და ამავდროულად სახელმწიფომაც თავი შეიკავოს მსგავსი პოლიტიკური მანიპულაციებისგან. [137]

„ადამიანების თავისუფალი განვითარების პერსპექტივა ძალიან მყიფე ხდება პერსონალური ავტონომიურობის საეჭვოობის პირობებში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეალური, ფაქტობრივი ხელშეუხებლობა ადამიანის პირადი სივრცისა, არამედ ასეთი ხელშეუხებლობის მყარი შეგრძნება, განცდა, აღქმადობა ადამიანის მხრიდან. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებებიც და სამართალიც იმდენად დამაჯერებელი უნდა იყოს ადამიანებისთვის, რომ ისინი მუდმივი ეჭვით არ ცხოვრობდნენ, არის კი მათი პირადული სივრცე რეალურად დაცული, ხელშეუხებელი. [138]

პრობლემას წარმოადგენს ასევე საზოგადოების ინფორმირებულობა, ერთი რომ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვს საზოგადოებას, დიდმა ნაწილმა არ იცის სოციალურ ქსელში მათი პირადი მონაცემების გასაჯაროვებას რა უარყოფითი მხარე შესაძლოა მოყვეს .

ასევე პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების განწყობა. პირველ რიგში პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ადამიანები

[137] იხ. დანართი №3 ინტერვიუ ლიკა საჯაიასთან

[138] იხ. სქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება გვ28,29

თვითონ უნდა მიმართავდნენ კანონის აღსრულებას, მიმართავდნენ სასამართლოების საშუალებით. მიმართავდნენ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატს, იყენებდნენ ყველა მექანიზმს ამ მხრივ საკმაოდ ცუდად არის საქმე პრობლემას საზოგადოებრივი ცნობიერება წარმოადგენს და აუცილებელია შემუშავდეს რაიმე მექანიზმი საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდისთვის იმისთვის, რომ საკითხი გახდეს აქტუალური. იმისათვის რომ სახელმწიფომ იგრძნოს რომ ეს საკითხი ადარდებს საზოგადოებას რომ ეს პრობლემა პრიორიტეტულია და აუცილებლად უნდა მოგვარდეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ რომელ საზოგადოებაშიც მუშაობს სხვისი პირადი ცხოვრებით დაინტერესების თემა, იმ საზოგადოებაში ხდება ამით ადამიანების დაშანტაჟება. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ სხვისი პირადი ცხოვრება არის სხვისი პირადი საქმე და რომ მასში ქექვა არის დანაშაული. ამ საკითხსაც ისევ საზოგადოებრივი ცნობიერების პრობლემასთან მივყავართ. კარგი იქნება თუ სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდება სქემა ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციები ამ კუთხით ბევრს მუშაობენ და რა დიდ როლს თამაშობენ, თუმცა კარგი იქნება თუ აღნიშნულ საკითხში ჩაერთვება შინაგან საქმეთა სამინისტრო და ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი უფრო აქტიურად. გაწიერება ბიუჯეტში თანხმები სოციალური რეკლამებისთვის, დაიგეგმება აქციები, ხშირად გაიცემა კომპეტეტნტური პირებისაგან ტელევიზიით, რადიომაუწყებლობით ან ინტერნეტ სივრცით ამ საკითხის მარეგულირებელი რეკომენდაციები. ვფიქრობ ეს ყველაფერი შეუწყობს ხელს შეუწყობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის პრევენციას.

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების/ჩანაწერების გასაჯაროვების საკითხის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აწარმოებს სტატისტიკას აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ სტატისტიკის წარმოებით ვერ გაირკვევა ზუსტი სტატისტიკა ვინაიდან ყველა საქმე არ მიდის უზენაეს სასამართლოში.ეს ყველაფერი რაც ართულებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურობის დადგენას. კარგი იქნება თუ შემუშავდება რამე მექანიზმი რისი საშუალებითაც შინაგან

საქმეთა სამინისტრო შეძლებს აღნიშნულ საქმეებზე სტატისტიკის წარმოებას, რაც შესაძლებელს გახდის შემდგომში აღნიშნულ საქმეების

ნაშრომში ასევე განხილულია , თემები სადაც ხაზგასმულია რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად აუცილებელია ბალანსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და ინფორმაციის თავისუფლებას, ასევე გამოხატვის თავისუფლებას შორის. ამ საკითხთან დაკავშირებით ვეთანხმები მიხეილ ბიჭიას მოსაზრებას, რომ „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი უნდა განიხილებოდეს სისტემურად. აუცილებელია უპირველეს ყოვლისა, მხედვლობაში იქნეს მიღებული კონსტიტუციით დადგენილი დაცვის სტანდარტი, ხოლო უკეთესი დაცვისა და კონსტიტუციური დაცვის გასაძლიერებლად - საერთაშორისო აქტები და ვალდებულებები.[139]

კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის დაცვის სტანდარტის დამცირების თავიდან ასაცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამართლის წყაროთა და სამართლებრივ ღირებულებათა იერარქია. ასევე ზოგჯერ ძალაუნებურად მაინც წარმოიშობა ღირებულებათა კონფლიქტი. ის გულისხმობს აწონ-დაწონვის შედეგად პრიორიტეტული ინტერესის გამოკვეთას და ერთ-ერთი ინტერესის მსხვერპლად შეწირვას გაცილებით რელევანტური ინტერესის დასაცავად. ამდენად, მაქსიმალური სიფრთხილითა და სიღრმისეული ანალიზის შეგედად უნდა იქნეს საკითხი შესწავლილი, რათა გამოირიცხოს თავისუფლებათა „მსხვერპლთშეწირვა.“ ამ შემთხვევაში კონფლიქტი უნდა გადაწყდეს თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით აწონ-დაწონვის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული კი შეფასებითია და ინდივიდუალურ გარემოებებზეა დამოკიდებული. მაგრამ ნებისმიერ პირთან დაკავიშრებით ინტიმური სფეროს დაცვა არის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული, ვიდრე სხვა ინტერესის უზრუნველყოფა, პირადი ცხოვრების დაცვის უფლება საერთო წესრიგის ნაწილია. თუ ამ წესრიგს ემუქრება საფრთხე ერთი ინტერესისთვის პრიორიტეტის მინიჭებით მეორის ხარჯზე, მაშინ ასეთი უპირატესობა მიუღებელია. მაშასადამე,

[139] იხ. მიხეილ ბიჭია,პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით თბილისი 2012წ. გვ229, გვ.230. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/mixeil_bichia.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ

პირადი სფეროს დაცვა სამართლებრივი წესრიგის ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს, რაც, თავის მხრივ ურთიერთობათა დაბალანსებას შეუწყობს ხელს.[140] პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რომელიც, როგორც ნაშრომში აღვნიშნე საკმაოდ ფართო სფეროს მოიცავს, შეუძლებელია მისი ზუსტი განმარტება და მისი მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტებიც სხვადასხვა სამართლებრივ ნორმებშია გაბნეული. თემაში შევეცადე სისტემატიზაციაში მომეყვანა ყველა ის ქართული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა რაც აღნიშნული უფლების დაცვისთვისაა განკუთვნილი. ასევე ვისაუბრე აღნიშნული უფლების დაცვის სამათლებრივ მექანიზმებზე. აღნიშნული უფლების მრავლისმომცველი შინაარსის გამო მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღნიშნული უფლების დაცვაა და მისი დაცვისთვის არსებული სამართლებრივი ნორმების და მექანიზმების კიდევ უფრო დახვეწა და ჰარმონიზება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებები, ბ. სავანელი. გამომცემლობა მერიდიანი თბილისი 2001წ.
2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მ.ოქრუაშვილი, თავისუფლების ინსტიტუტი 2008წ.
3. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016წ.
4. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი) კვლევა მომზადებულია ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში 2014წ. https://gdi.ge/uploads/other/0/189.pdfბოლო განახლება 28/06/2019წ.
5. The right to respect for private and family life. A gude to implementation of article 8 of europian convention on human rights. U. Kilkelly https://rm.coe.int/168007ff47 ბოლო განახლება 28/06/2019წ.
6. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლრაცია

[140] იხ. მიხეილ ბიჭია,პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით თბილისი 2012წ. გვ229, გვ.230. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/mixeil_bichia.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ

7. პირადი და ოჯახური პატივისცემის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი 2005წ. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/article8.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

8. Europian court of human rights Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights Right to respect for private and family life, home and correspondence- Updated on 31 December 2018. https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

9. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები თბილისი 2016წ რედ. კ. კორკელია სტატიის ავტორები თ. ქალდანი ნ. სარიშვილი.

10. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი. თარგმანის ავტორი კ. გოშაძე, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი 2015წ.

11. ელექტრონული მასალა http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/COE/COE-Conventions.aspx ბოლო განახლება 28/06/2019წ.

12. ადამიანის უფლებათა სამართალი თბილისი 2005წ. გ. ლობჟანიძე

13. საქართველოს კონსტიტუცია.

14. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი) კვლევა მომზადებულია ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში 2014წ გვ.8 ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://gdi.ge/uploads/other/0/189.pdf ბოლო განახლება 27/06/2019წ.

15. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები ლ. ჯგერენაია თბილისი 2012 წ. http://library.court.ge/upload/2962013-03-29.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

16. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“

17. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“

18. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები: 157-159

19. საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საქართველოს სახელით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ საქმე №560ა318 , თ.დ. 560ა-318, ქ.თბილისი 25.03.2019

20. FREEDOM OF EXPRESSION AND THE RIGHT TO REPUTATION: HUMAN RIGHTS IN CONFLICT. S. SMET 2010 http://www.corteidh.or.cr/tablas/r29311.pdf

21. ელექტრონული მასალა http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.3&d=HASHfb846b36a6403d837daa38.1 ბოლო განახლება 28/06/2019წ.

22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება.

23. იხსენით ძირითადი უფლებანი! მოქალაქის თავისუფლება თუ უსაფრთხოება. გ.ბაუმი გერმანულიდან თარგმნა მ.ფანჯიკიძემ დ.უსუფაშვილის წინასიტყვაობით.

24. სტატიათა კრებული ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე რედაქტორი კ. კორკელია, სტატიის ავტორი ნ. საგინაშილი. თბილისი 2015წ.

25. europian courts of human rights research devision internet: case-law of the europian court of human rights updated june 2015 https://www.echr.coe.int/Documents/Research_report_internet_ENG.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

26. საქართველოს სახალხო დამცველის2015 წლის ანგარიში.

27. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში 2014 წლის 23 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „როგორ დავიცვათ პირადი ცხოვრება?“ https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/11/how_to_protect_personal_life.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

28. იხ დანართი № 1 სახალხო დამცველის აპარატში ჩემს მიერ გაგზავნილი 2019 წლის 28 მარტის №PDP 8 19 00001199 წერილის პასიხი

29. დანართი №2ინტერვიუ ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის გამომძებელი პაპუნა ციმინტიასთან და აღნიშნული დეპარტამენტის კიბერ თანამშრომელ გიორგი სურგულაძესთან.

30. ელექტრონული ინფორმაცია https://imedinews.ge/ge/dzalovnebi/95335/rogor-ebrdzvis-shss-paruli-videochanatserebis-gavrtselebas-da-ratom-isjeba-mati-shenakhva

31. ელექტრონული ინფორმაცია http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.3&d=HASH01ffaf957157488e546f5b51.2.3 ბოლო განახლება 28/06/2019წ.

32. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2017წ.

33. ელექტრონული ინფორმაცია https://idfi.ge/ge/this-affects-you-campaign ბოლო განახლება 28/06/2019წ.

34. პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში. გ. კეჭაღმაძე თბილისი 2016წ.

35. გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გლობალური პრინციპები პოლიტიკის დოკუმენტი ორგანიზაცია „მე-19 მუხლი“ პრინციპები ქართულად ითარგმნა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ.გვ. https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/Article_19_Expression_and_Privacy_Principles.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

36. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი.საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი თილისი 2016წ. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/tematuri_sadziebeli2016.pdf

37. https://personaldata.ge/ka/ukanono-damushaveba ბოლო განახლება 28/06/2019წ.

38. დანართი №3 ინტერვიუ არასამათავრობო ორგანიზაცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელ ლიკა საჯაიასთან.

39. http://www.tabula.ge/ge/verbatim/146424-lomjaria-samtsuxarod-saxelmtsifo-udzluria-daadginos-vin-dgas-am-kadrebis-da ბოლო განახლება 28/06/2019წ.

40. დანართი №- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი 2019 წლის 8 მაისის #MIA 9 19 01182471 წერილი

41. დანართი №- თბილისის სასამართლოდან მიღებული 2019 წლის 29 მარტის წერილი #1-0476/2918794

42. დანართი №-- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის წერილი N 3-832-19

43. დანართი№--უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 აპრილის წერილი № ბ-721-19

44. ელექტრონული მისამართი https://emc.org.ge/ka/coalitions/es-shen-gekheba ბოლო განახლება 28/06/2019წ.

45. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება

46. ელექტრონული მისამართი https://idfi.ge/ge/this-affects-you-campaign-requests-the-government-to-make-concrete-action-stepts ბოლო განახლება 28/06/2019წ.

47. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში.ხელმისაწვდომია შემდეგ ელექქტრონულ მისამართზე https://personaldata.ge/cdn/2019/03/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91-2018.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

48. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

49. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი

50. მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები ს. ჯორბენაძე ბოლო დამუშავება: 8 ოქტომბერი, 2015წ. http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/10/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98-18.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

51. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

52. europian court of human rights. Press unit. Right to the protection of one's image. January 2019 https://www.echr.coe.int/Documents/FS_Own_image_ENG.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

53. „სიტყვის თავისუფლება", 2017 წლის 26 თებერვლის ესე, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://pensemoshablemos.wordpress.com/2017/02/26/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94/ ბოლო განახლება 27/06/2019წ.

54. მარიამ იზორია, გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრება. ბალანსი უფლებებს შორის. https://iz2100.wordpress.com/2017/11/18/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93/ ბოლო განახლება 28/06/2019წ.

55. eur. Court of HR, Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland, GRAND CHAMBERjudgment Strasburg 27 June 2017, application no. 931/13 https://lovdata.no/static/EMDN/emd-2013-000931-2.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

56. Thematic factsheet1 Update: June 2018 .FREEDOM OF EXPRESSION, THE INTERNET AND NEW TECHNOLOGIES https://rm.coe.int/freedom-of-expression-internet-and-new-technologies-14june2018-docx/16808b3530 ბოლო განახლება 28/06/2019წ.

57. Why the YouTube Ban is Illegal &Undesirable By B. Sattar http://bolobhi.org/wp-content/uploads/2014/03/Babar-Sattars-Legal-Note.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

58. მიხეილ ბიჭია,პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით თბილისი 2012წ. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/mixeil_bichia.pdf ბოლო განახლება 28/06/2019წ.

59. ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/შოტლანდია, ესტონეთი შედარებითი ანალიზი, კვლევის ავტორი: ელისო ჩაბრავა რედაქტორი: გიორგი კლდიაშვილი. 2012წ. https://idfi.ge/ge/freedom-of-information-legislation-and-practice ბოლო განახლება 28/06/2019წ.

60. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილება.

61. მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები გვ 11 გვ12. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838 ბოლო განახლება 28/06/2019წ

62. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

63. https://personaldata.ge/ka/press/post/3544 2016-12-13 14:49:08, ბოლო განახლება 27/06/2019წ.